



# კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14<sup>e</sup>).

№ 2 (21)

თ ე ბ ე რ 3 ა ლ ი 1939.

№ 2 (21)

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

რა იქნებოდა...

ჰ. ბამატი — ანტიკომინტერნის გზაზედ

შ. ამირეჯიბი — უორდანის ახალი მოწოდება (ახალი ონბაზობა)

\*\* — ჩვენი ხუთი წელიწადი

დ. სალირაშვილი — ნაციონალ - სოციალიზმის „რეაქციონერობაზედ“

ფატმანის ქაჯი — ძალლ-პატრონიანი (მენშევიკური პოემა)

რ. გაბაშვილი — მენშევიკური პრინციპები

თებერვლის დღეები სომხეთში

რაე — ჰაინანი და მინორკა

მიხ. კედია — ნილაბ ჩამოხსნილნი

ვ. ჩოჩია — წერილი ჩეხო-სლოვაკიიდან

პრესსა

წერილი რედაქციის მიმართ

თებერვალი 1939

## რა იძნებოდა ...

რა მოხდებოდა, ბატონ უორდანის თავი რომ ჰქონებოდა?

დამოუკიდებლობის სასიხარულო გრძნობებით სავსე დღეები, მუდამ დაჩრდილულნი უგუნური პოლიტიკის წყალობით, — 1921 წლის თებერვლის დღეებს სამგლოვიარო ძაძებს არ ჩაცვამდა.

საუკუნეებში ერთხელ თუ ელირსება ერს ისეთი ბედი, როგორიც ღმერთისა კურთხეულ საქართველოს მიანიჭა დიდი ომის შემდეგ. რუსეთი დაიხვრა, ოსმალეთი წაქცეული იყო, კავკასიელი ერები საქართველოს პოლიტიკას შისდევდნენ და... ჰბაძავდნენ; თვით საქართველოს შვილნი, გახურჩევლად წოდებისა, „კლასებისა“, ჰასაკისა, ალფროვანებულნი დამოუკიდებლობის მირაჟით, — ბ-ნ უორდანიას გარშეძო, მთელი თავისი შეგნებით, სურვილით ეროვნულ დაბროლებას შოელოდებოდნენ.

ობიექტიური პირობები, — გარეშე და შინაგანი — საქართველოს ისეთი ჰქონდა, როგორც არასოდეს ისტორიაში; იქნებ დავით ალმაშენებელის დროსაც კი არა.

და რა ჰქნა უორდანიამ? არც ერთი საგარეო პირობა არ გამოიყენა; ვერ მოურიგდა ვერც ერთ შეზობელს და ყველასთან ომი აწარშოვა; შინაურობაში მან გააჩალა „კლასთა“, წოდებათა, პარტიათა და სხვათა და სხვათა ბრძოლა, რადგან საქართველოში არ არსებულ რევოლუციონურ განწყობილებას — ის ხელოვნურად ჰქმნიდა ზევიდან, რუსეთისაგან მიღებული მეთოდებით. მას არ უნდოდა დამოუკიდებლობა, რადგან არც ესმოდა ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობა; ის ალვივებდა „კლასთა ბრძოლას“ და თუ სამოქალაქო ომამდე არ მისულა საქშე — იმიტომ რომ ჩვენში არა მარტო ჩამოყალიბებული კლასები არ იყო, არამედ წოდებათა ურთიერთობაც რუსეთის და მენშევიზმის გარყვნილ ფსიქოლოგიას გამწვავების უკიდურესობამდის ვერ მიეყვანა ჯერა. უორდანიამ დაშალა ხალხი, დაშალა ერი, იმის შაგიერ რომ მოწოდებინა ერთობისათვის, არსებული ფსიხოლოგიური განწყობილებით, უკვე მზად მყოფი ამისათვისა.

ამიტომ ერმა ვერ დაჭიმა თავისი სულიერი და ფიზიკური ენერგია და იხარჯებოდა შინაგან და საგარეო უაზრო წყვეტებაში.

„დრო არა გვქონდა საკმაო, ჯარის შექმნისათვისა“ -ო, მაგრამ რა გაკეთდა მის შესაქმნელად? დამარცხება ხომ შლის ჯარის ძალა-ორგანიზაციას და უორდანია მუდამა შლიდა გამარჯვებული ჯარის ძალა-ორგანიზაციას, უჭირო მორიგებით, რადგან ჯარისა ეშინოდა, როგორც ჭირისა მისთვის, მისი რეჟიმისათვის.

ასე მოიქცა სომხების ომის, ბოლშევიკ - ადერბეიჯანის ომის და ყველგან, საცა ჩვენი ჯარი გამარჯვებული გამოდიოდა.

არც სურვილით, არც ფაქტიურად უორდანია ერისა და სახელმწიფოს ფუძეებს ხელს არ უწყობდა და უკანასკნელი აქტიც ჩვენი ტრალედიისა ამიტომ ისე უმსგავსოდ გათამაშდა... თებერვალშიაც.

მთავრობამ არა მარტო დოკუმენტალურად იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთი ომს გვიმზადებდა, ადერბეიჯანისა და სომხეთის მაგალითებიც თვალწინა ჰქონდა (და არავის მიეშველა) და ამის მიუხედავად სწორედ ბოლშევიკების შემოსევის წინ — მობილიზაციის მაგიერ, კადრების — დემობილიზაცია მოახდინა. ჯარი და გვარდია, კარგად თუ ცუდათ, იბრძოდა; თბილისთან გამარჯვება გამარჯვებაზედა

გვხვდა წილად; სომხეთიდან დეპეშები მოსდიოდა მთავრობას: გამაგრდით, ურევანი ჩვენს ხელშია, მთელი სომხეთი აჯანყებულია; ლენკორანში აჯანყება იყო დაწყებული და სწორედ ეს ორი გარემოება უშლიდა ხელს ბოლშევიკებს — რეგულიარული შეტევის წარმოებაში.

მთავრობამ არ ისარგებლა არაფრით, სომხეთის აჯანყება (რომელიც ჩვენი დამარცხების შემდეგაც გრძელდებოდა) ხალხს დაუმალა კიდეც და... გაიქცა.

და რა იქნებოდა... რომ მთავრობა, როგორც ყველგან მსოფლიოში, ეროვნული თუ რევოლუციონური მთავრობა — ომისათვის მომზადებულიყო, მეზობლებისათვის ხელი გაეწვდინა და საერთო ძალით მტერი გაედევნა?

საქართველო ფაქტიურად მეზობლებსაც მხსნელად მოევლინებოდა და კავკასიის ერთობა სისხლით შედუღებული იქნებოდა.

მაგრამ უორდანის ოცნება არ იყო — სახელმწიფო, მთლიანი ერი, ის ოცნებობდა მთელს სიცოცხლეს სახელმწიფოს დანგრევაზედ, კლასთა ბრძოლაზედ, და „საერთაშორისო“ მშვიდობიანობაზედ. ამიტომ, როცა ბედმა ტახტზედ დასვა, — შინ და გარედ უხეირო ომი ბევრი აწარმოვა და მშვიდობიანობა... ვანვში ლა მოიპოვა: „არა შეჯდა მწყერი ხესაო...“ და ტახტზე?



## ანტიკომინტერნის გზაჲედ

პოლიტიკური დიდი ამბები ეხლა ისეთი სისწრაფით მიმდნარეობენ, რომ ადამიანი ვერც კი ასწრებს მათს ჯეროვანს შეფასებას... ესპანელ ნაციონალისტთა გამარჯვებამ კატალონიაში, მომასწავებელმა ჩეარი მოთავებისა სამოქალაქო ომის, და, ფრანგისი და მისი იდეების გამარჯვებამ — საზოგადოების ყურადღება მოაცილა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას. იქ კი სწარმოებს გახურებული დიპლომატიური მუშაობა, რომლის შედეგები ალბად მალე გამოჩდება. სულ რამდენიმე კვირაა, რაც პოლკოვნიკი ბეკი ეწვია ბერნტესგადენს. რაზედ ბასობდნენ გერმანიის მორჭმული ფიურერი და პოლონეთის მოხერხებული საგარეო საქმეთა მინისტრი, გარკვევით არავინ იცის: საიდუმლოება კარგად იყო დაცული, მაგრამ თამამად ითქმის, რომ გაზეთებში რაც იყო გამოთქმული — მოცლილი ავტორების გამოგენებაა სულა. არც რიბენტროპის საპასუხო დარბაზობამ ვარშავაში მოჰყვინა ნათელი ბერლინისა და ვარშავის ახალ ურთიერთოსაქმის გაშუქება ყველას თავისებურად შეუძლიან და იქნება ამიგას...

ტომ ზედმეტი არ იყოს ამ რთულ თამაშში გავიხსენოთ ორი ეპიზოდი. მკითხველს ახსოვს ვარშავის უკმაყოფილო რეაქცია ვენის არბიტრა-


უზედ, რომელმაც საზღვარი დაუდო პოლონეთ-უნგრეთის ოცნებას საერთო საზღვრის შექმნაზედ და შექმნა — კარპატის უკრაინა. ვარ-შავამ თითქო დემონსტრატიულად იბრუნა პირი მოსკოვისაკენ და შე-ეცადა ს.ს.ს.რ.-თან კეთილმეზობლობის კავშირის აღდგენას. ფორმა-ლურად ვაჭრობაზედ აღძრული ლაპარაკი, რალა თქმა უნდა ვერავის შეიყვანდა შეცდომაში, ამ პოლიტიკური უესტის მნიშვნელობაზედ. ასეთ ეჭვებს აღვილად ჰეთანტავდა საბჭოთა მაშინდელი პრესა, საცა „პრავდა“ და „იზვესტია“ ზეიმობდნენ, მოსკოვს ახალი კავშირის იმე-დი მიეცა და ამზადებდა ლიტვინოვის წასვლას ვარშავაში.

ბერლინი შეხვდა გულგრილად პოლონეთის ამ ახალ ორიენტა-ციას; ყოველშემთხვევაში, პრესა არაფრით გამოსთვამდა უკმაყო-ფილებას.

მაგრამ, სწორედ რიბენტროპის წასვლის წინ ვარშავაში, მსოფ-ლიო პრესა მოირბინა მეორე ამბავმა, რომ გერმანია გზავნის მოსკოვ-ში... სავაჭრო დიდს დელეგაციას. ყველა ხაზს უსვამდა, რომ დელეგა-ციას არა მარტო ვაჭრობა აინტერესებსო...

ზოგმა ჭაზეთმა გერმანო-რუსული კავშირის საშიშროებაზედაც კი დაიწყო კვლავინდებურად ლაპარაკი... მაგრამ რამდენიმე დღის შე-მდეგ, რიბენტროპი დაბრუნდა ვარშავიდან და ბერლინის გაზეთებმა მსოფლიოს მოსდეს ამბავი, რომ არავითარი დელეგაცია მოსკოვს არ იგზავნებაო.

ვარშავაშიაც აღარა ლაპარაკობენ ს.ს.ს.რ.-თან სავაჭრო კავშირ-ზედ და მოსკოვშიაც არა მარტო გაჩუმდნენ ლიტვინოვის მოგზაურო-ბაზედ, არამედ ძველი ნაღველი ისმის.



იანვარი სავსე იყო დიპლომატიური დარბაზობით ბერლინში — საგარეო საქმეთა სხვა და სხვა ქვეყნის მინისტრებისა. მათში გამოსა-რჩევია უნგრეთის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელის — გრაფ ჩაკის — ვიზიტი. საიდუმლოება არ არი, რომ უნგრეთი არ დაკმაყოფილდა იტალია-გერმანიის არბიტრაჟით ვენაში, მიუხედავად იმისა რომ და-უბრუნეს კარგა დიდი ტერიტორია და ერთი მილიონი მოსახლეობა. იგი მუდამ იბრძოდა ტრიანონის ხელშეკრულების წინააღმდეგ და მოითხოვდა სლოვაკიის ნაწილსა და კარპატის უკრაინასაც, რომელიც ეკუთვნოდა წმ. სტეფანეს სამეფოს... ეს იმედები არ გაუმართლდა. არც კარპატის უკრაინასთან ურთიერთობა დამყარდა ძალიან მეგობ-რული: იანვრის დასაწყისის სისხლიანმა ინცინდენტმა მუკაჩევოში მეტად გააღიზიანა ორივე მხარე და უნგრელები ფიქრობენ, რომ უკ-რაინელები არ მოქმედობდნენ... გერმანელების წალენჯებლად. ამას უნდა ისიც დაემატოს, რომ უნგრეთში, მეტადრე მიწის მფლობელ არისტოკრატიაში მუდამ არის შიში გერმანზმისა... აი რას ემყარება ოცნება — „მესამე ევროპის“ შექმნაზედ პოლონეთთან ერთად, ე.ი.

ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე რკინის ბარიერის შექმნისა — გერმანიისა და რუსეთის წნანალმდეგ...

იმჩედის, მთავრობის დამსახურება და მეტადრე მისი საგარეო საქმეთა მინისტრისა, სწორედ იმაშია, დროზედ რომ მიხვდნენ რეალურ მდგომარეობას ცენტრალურ ევროპაში და შეგუება - თანამშრომლობას არჩევენ ბერლინ - რომის ღერძთან.

გრაფ ჩაკის დარბაზობა ბერლინში, რასაც წინ უსწრობდა ოფიციალური მიმხრობა ანტიკომინტერნის ბლოკისადმი, მაჩვენებელია უნგრეთის საბოლოო მოქცევისა ავტორიტარულ ქვეყნების სისტემაში.

ჩაკამ ინახულა როგორც რიბენტროპი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ისე რუდოლფ ჰესი, პარტიის ხელმძღვანელი, მარშალი გერინგი, და თვით ფიურერიც, მაშასადამე მორგება მოხდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ყველა საკითხებში.

გერმანული და უნგრეთის პრესა არ მალავს თუ რა გზას დაადგა საბოლოოდ უნგრეთი.

ამ რიგად, საბჭოთა რუსეთის და ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიემატა კიდევ ერთი მოკავშირე.

ჩვენ არ შეგვიძლიან არ მივესალმოთ ასეთ მოვლენას.

### ჰაიდარ ბაშატი



## უორდანის ახალი მოწოდება

უორდანის მოწოდებებს, ქართველი ერისადმი მიმართულს, მუდამ თავისი ბედისწერა ჰქონდა. სახარბიერო ამ ბედისწერაში არაფერი იყო. არა ყოფილა უორდანის მოწოდება „ცირკულიარი“ თუ საიდუმლო წერილი, საქართველოში გაგზავნილი, რომ ჯერ ჩეკას არ ჩაეგდო ხელში და ქართველ ხალხს, საქართველოში თუ ემიგრაციაში, ასე სკანდალურად გამომულავნებული არ წაეკითხოს. ასეთი ბედი ეწვია, მაგალითად, ჯერ მის დიდ წერილს 1924 წელს საქართველოში აჯანყების წინ გაგზავნილს, შემდეგ მის არა ნაკლებ სახელოვან საიდუმლო წერილს, „აბესალომისათვის“ გატანებულს. ორივე შემთხვევაში, წერილები ჯერ ჩეკამ დაბეჭდა და მხოლოდ შემდეგ გაიგო ქართველმა საზოგადოებამ.

მოწოდებას, რომლის მარგალიტებს მკითხველი ჩვენი უურნალის ამ ნომერში გაეცნობა, იქნება მხოლოდ იმიტომ არ დაჰყოვა მსგავსი ბედი, რომ, გარეგნულად მაინც, იგი გაგზავნილია არა საქართველოში, არამედ დარიგებულია სხვა და სხვა ქვეყნებში, სადაც ქართველი

ემიგრანტები სცხოვრობენ. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული არა ვართ იმაში, რომ იგივე მოწოდება, მაგალითად, პარიზის ქართველობისათვისაც არის დანიშნული. შესაძლებელია, რომ პარიზის ქართველობამ პირველად მხოლოდ ეხლა წაიკითხოს. ჩვენ ამას დაბეჯითებით არ ვამბობთ და მით უმეტეს, არც ასეთი სენსაციის მოსახლენადა ვძეჭდავთ. მაგრამ მით არა ნაკლებ საყურადღებო ხდება ის გარემოება, რომ უორდანია თავის მოწოდებას ხელნაწერის სახით ავრცელებს.

ჩვენს დროში, რომ კაცმა სტამბაში დაბეჭდილ დოკუმენტს ხელნაწერი ამჯობინოს, თუ მეტადრე „მანუსკრიპტი“ ჩვენს ქართულ საზოგადოებაში გასავრცელებლად არის დანიშნული, ამას მართლა თავისი „საპატიო“ მიზეზი უნდა ჰქონდეს. ასეთი დანიშნულებისაა სწორედ უორდანიას ხელნაწერიც. ამიტომ ძალაუნებურად იბადება კითხვა: რატომ დასჭირდა უორდანიას თავისი მოწოდების ხელნაწერის სახით დარიგება, როცა აქამდისინ მაინც, მის განკარგულებაში, მუდამ ორი ისეთი გაზეთი იყო, როგორც მისი პარტიული „ბრძოლის ხმა“ და მისივე „ფრონტის“ ორგანო „დამოუკიდებელი საქართველო“?!

თუ ეს მოხდა იმ მაძულებელი გარემოების გამო, რომ არც ერთმა ამ გაზეთმა უორდანიას „მოწოდების“ დაბეჭდვა არ ისურვა, მაშინ უორდანია განმარტოებული მოსჩანს და მის მოწოდებასაც ყოველივე ფასი ეკარგება.

ეს მეტად საყურადღებო გარემოებაა, რომელზედაც ჩვენ ეხლავერ შევჩერდებით, რადგან უფრო საყურადღებო და უპრინციპობით განმაცვითრებელი თვით „მოწოდებაა“, თუმცა მენშევიკების ლიდერის უპრინციპობას და წაჯე-უკუჯექობას დიდი ხანია შეჩერეულები ვართ.

უორდანიას მთელი პოლიტიკა ემიგრაციაში აქამდის გამოიხატებოდა იმაში, რომ უორდანია — „საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე“ — მენშევიკური პარტიის ლიდერი იყო, პარტია შედიოდა ინტერნაციონალში, ხოლო ინტერნაციონალი სახალხო ფრონტში, რომელიც ევროპაში და ყველგან მსოფლიო ბოლშევიკური დაწესებულებაა. უორდანია, „დიდი დემოკრატიების“ მომხრე და ოტორიტარული სახელმწიფოების მოწინააღმდეგე იყო.

დღეს, თითქო ძილში ღვთის მშობელი გამოეცხადაო, უორდანია კეხს ატრიალებს და გამოტეხილი ამბობს, რომ მთელი ეს მისი პოლიტიკა თვრამეტი წლის განმავლობაში, ქართული საქმისათვის დიდად მავნე და შემცდარი ყოფილა. კეთილი და პატიოსანი! სხვა უამისო პოლიტიკური მოღვაწე, სულ გაეცლებოდა პოლიტიკურ ასპარეზს და ადგილს სხვა ახალ ქართულ ძალას დაუთმობდა. ასე ხდება ყველგან, თუ პოლიტიკა ნამუსის საქმეც არის და თუ ერს ეს სხვა ახალი ძალაც გააჩნია. მაგრამ უორდანია უკულმა იქცევა. თავიდგან იცილებს ყველას, ის აუქმებს თავის და სხვა პარტიებს და ბურთსა და მოედანს მარტო თითონ იტოვებს. თვრამეტი წლის წინად, ეგზამენზედ უღიერად ჩაჭრილი უორდანია, შეგირდივით ახალ ეგზამენს თხოულობს,

თითქოს ერის ბედი და სახელმწიფოს შენება გლახა შეგირდების პან-სიონია, სადაც სიმწიფის მოწმობას იმათაც აძლევენ, ვინც მხოლოდ თავისი უმწიფობა დაამტკიცა?!

უორდანია მხოლოდ თვრამეტი წლის შემდეგ (რატომ ორმოცისა არა!) გვეუბნება, რომ ერისა და სახელმწიფოს საქმეში, „ჯერ ერი“ ყოფილა თურმე მთავარი და „შემდეგ კლასი“. აგანგალა, განგალა, უორდანია! სამოცდა თორმეტი წლის მოხუცი უორდანია იქნება დღეს მართლა ფიქრობს, რომ ეს ასეა არა მარტო დღეს, ასე იყო გუშინ, ასე იქნება ხვალაც! მაგრამ საქართველოსათვის, რომელიც გუშინდე-ლი ქმედია არ არის, განა ეს ისეთი აღმოჩენაა, რომ ამის გამო უორ-დანია თავის ახალ წინასწარმეტყველად მონათლოს? ეს ცნება ახალია თვით უორდანიასათვის როგორც მარქსისტისათვის, მაგრამ იგი ახალი არ არის საქართველოსათვის, ჯერ კდევ უხსოვარ დროიდგან. მაგრამ ამ ძველ დებულებასაც უორდანია ისე სრულად არ ამბობს, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე იტყოდა, მაგალითად.

უორდანია ამბობს: „ჯერ ერი, შემდეგ კლასი; ჯერ ეროვნული ბრძოლა, შემდეგ სოციალური ბრძოლა“—ო. ესე იგი, უორდანია ამ-ბობს: წამიყვანეთ საქართველოში როგორც ეროვნული მთავრობა, ეს იქნება — „ეროვნული ბრძოლა“ და მეორე დღეს მე თქვენ გიჩვენებთ როგორი „სოციალური ბრძოლა“ დავატრიალო ამ თქვენს ეროვნულ საქართველოშიო! სადღა არის მისი „ფაშიზმი“, რომელსაც ის დღეს ეპოტინება?.... განა ცხადი არ არის რომ უორდანია ფაშისტად არ ვა-რგა და ტყუილადა სპობს კავშირს, როგორც თავის პარტიასთან ისე „დემოკრატიასთან“.

უორდანიას პირობა, რომელსაც ის თავის მომავალ გაერთიანებას უდებს, ერთი მეორეზედ ბავშვური და სასაცილოა.

უორდანია ამბობს: ახალმა ეროვნულმა გაერთიანებამ „ნაციონა-ლური მთავრობა“ უნდა იცნოსო. უორდანია ამას ისე გულუბრყვი-ლოდ და მოურიდებლად ამბობს, თითქოს „ნაციონალური მთავრობა“ და უორდანია სხვა და სხვანი იყვნენ. ნუ თუ ამასაც ნეიტრალი და „უკლასო“ ეროვნული პოლიტიკა ეწოდება?! ყველამ იცის რომ და-მარცხებული, გამოქცეული და გაუქმებული უორდანიას მთავრობა, დღეს არაფერია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სა-კითხისათვის მას აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სულ რომ არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ ეს მთავრობა მენშევიკური და მაშასა-დამე „კლასობრივია“ და არა ეროვნული, თვით უორდანია ქართვე-ლი ერის თვალში ისე სახელ გატეხილი არის, რომ ქართველ ერი მას თავზედ ვეღარავინ მოახვევს. უორდანიას სამი ცოდვა ჰქილია ზურგ-ზედ. პირველი, რომ ის იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამო-ცხადების წინააღმდეგი. მეორე, რომ მან ქართველი ერი მტერს ჩაუ-ტოვა ხელში და პირველი გამოიქცა საქართველოდან. მესამე, რომ უორდანია მთელი თავისი მსოფლ-მხედველობით, პარტიით, რეუიმით და პოლიტიკით, რუსეთის მფლობელობის ნაშთია საქართველოში. თუ საქართველოს თავისი ნამდვილი დამოუკიდებლობა სურს, ყოვლის

უმაღლ მან ჯერ უორდანიაზედ და მენშევიზმზედ უნდა სთქვას უარი.

უორდანია ამბობს: მიცანით მე და მეც ვიცნობ საქართველოს საზღვრების სტატუს-ქვოს! ქართულმა ემიგრაციამ იცის, რომ ამ საზღვრების გამო უორდანია ჩვენს წრეს ბარბაროსულ მიტინგებს და სხვა ათას პროვოკაციას უწყობდა და უწყობს. საქართველოს მიერ ამ სტატუს-ქვოს იძულებით მიჩნევის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობდით დიდის გულისტკივილით და ათასის ბოდიშით. უორდანია ამაზედ უბრალო სამძიმარსაც არა ხარჯავს. მაგრამ ემიგრაციამ ისიც იცის, თუ რად ირჯება უორდანია ასე დარღიმანდულად? იმიტომ რომ ამ საზღვრებში, უომრადა და ქართველი ერის ჩუმად, ოსმალეთი სწორედ უორდანიამ შემოიყვანა.

უორდანიამ ეს სტატუს-ქვო უნდა იცნოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას ამ მიწების ნებაყოფლობით გადამცემის ბარათს წარმოუდგენენ. ეს არის მთავარი მიზეზი, რომ საქართველო დღეს იძულებულია ამ სტატუს-ქვოს ანგარიში გაუწიოს. მაგრამ საქართველოს არ დაუკარგავს უფლება, რომ ამისი ანგარიში უორდანიასაც წარუდგინოს.

ასეთია უორდანიას ახალი მოწოდება, ასეთი ახალი ეროვნული მეთაურია თვით უორდანია თავის მოწოდებაში, ეს არის მისი „ჯერ ერი, შემდეგ კლასი“, „ჯერ ეროვნული ბრძოლა, შემდეგ სოციალური ბრძოლა“. მოკლედ კი ყოველივე ამისი მნიშვნელობა ის არის, რომ უორდანია ჯერ საქართველოს გამოექცა ემიგრაციაში, ეხლა ემიგრაციას გაურბის, მაგრამ თითონაც არ იცის სად, რომელ უფსკრულში, რომელ წყვდიადში? მისი კრიტიკა „დემოკრატიული სახელმწიფოებისა“ გულწრფელი არ არის, მისი კარის მიკაცუნება ფაშიზმთან ხომ წრეს გადასული უპრინციპობა და სრული გაშიშვლებაა. ეს არის სწორედ მენშევიზმის სრული გაკოტრება და მას აღარაფერი ეშველება.

შ. ამირეჯიბი



### დამატება: ახალი ონბაზობა

ჩვენს რედაქტიას მოუვიდა უცნაური დოკუმენტი, რომელიც აპოკრიფად შეიძლება ჩაეთვალა აღამიანს, ვინც არ იცნობს ბ. ნ. უორდანიას უპრინციპო წევე-უკუჯექობას. მაგრამ დოკუმენტს აზის ბეჭედიც და უორდანიას ხელის მოწერაც დადასტურებულია სათანადო სხვა ხელმოწერით.

დოკუმენტი რომ აუტანტიურია, ამის ბევრი სხვა ნიშნები და მოწმობაცა გვაქვს.

და რა სწერია ამ საიდუმლო (?) „დოკუმენტში“?

ქართველი საზოგადოება, — რომელიც წელიწადზედ მეტია, ყა-

**ლხზეა შეუენებული** ათასნაირი პროვოკაციით, დაბეზლებით, ჭორით და სისინით „კავკაზ“-ის წინააღმდეგ, — იფიქრებს, ეს წერილი პ-ი უორდანიას ხელით კი არ არის დაწერილი, არამედ უურნალ „კავკაზის“ რომელიმე „მოლალატე“ თანამშრომელისაგან; ან თითონ ბ-ნი უორდანია გამხდარა ჩვენი თანამშრომელი და ულალატნია... თავის თავისათვის, ან ვისთვის, აღარც თითონ ღა გაეგება...

მაგრამ მოუსმინოთ თვით ბ-ნ ნოეს, რომ ყველა „თანამშრომელის“ ზნეობრივი პასუხისმგებლობა და სახე თვით მკითხველმა გასაჯოს.

აი თვით დოკუმენტის მთავარი მარგალიტები:

### მომენტის აუცილებლობა

„ამ უამაღ კაცობრიობა იმყოფება ხალხთა და ტერიტორიათა გადანაწილების პერიოდში.

„ასეთი გადანაწილება უკანასკნელ საუკუნეში მოხდა ორჯერ: 1815 წელს ვენაში, რაიცა დაარღვია 1848 წლის რევოლუციამ და 1919 წელს ვერსალში, რაიცა დაირღვა ჩვენ თვალწინ; ირლვევა მისი ნაშთები ყოველ დღე.

„კაცობრიობა მოშორდა ვერსალის კალაპოტს, ხოლო ახალი ჯერ კიდევ ვერ შეუქმნია. ნათელია მხოლოდ ის გეზი, საითკენაც მიიმართება მისი მთავარი ხაზები. ის იწყება შუა გულ ევროპიდან ერთი მხრით, შორეულ აღმოსავლეთიდან მეორე მხრით. და ორივე შეიყრებიან აღმოსავლეთის ევროპის ვრცელ სივრცეზე...“

ამავე წესითაა გადაწერილი ოპოზიციის შეხედულებანი ეხლანდელ მდგომარეობაზედ და

„ისმება ჩვენს წინ საკითხი... თუ რა ბედი ელის საქართველოს... გადასთელავენ თუ... თავის თავის ბატონად გახდება?...“

ამაზედ ბ-ნი უორდანია გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, რადგან „ძალთა განწყობილების უკანასკნელი კომბინაცია უცნობია“.

მაგრამ, აუცილებელია მთელი ქართველი ერის გაერთიანება და განხეთქილების განდევნა...

„ჯერ ერი, შემდეგ კლასი; ჯერ ეროვნული ბრძოლა, შემდეგ სოციალური ბრძოლა“.

ასეა თურმე ყველგან, ასეა საქართველოში და მხოლოდ ემიგრაციას არ ესმის ესა.

„ქართველმა ემიგრაციამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა შორს არ არის, და მასში მხურვალე მონაწილეობის მიღება მისი ვალია“.

და აი, ბ-ნი უორდანია მოუწოდებს ემიგრაციას დაირაზმოს დისკიპლინით... საგარეო და საშინაო მტრების წინააღმდეგ, რომელნიც... „მომდინარეობენ ერთ და იმავე წყაროდან — მოსკოვიდან, რომლის

წინააღმდეგ... დროშაზედ იქნება აღბეჭდილი მხოლოდ ორი მოთხოვნილება:

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

„საქართველოს დღეს არსებულ საზღვრების ხელშეუხებლობა“\*)

შემდეგ უორდანია სტალინისებური ოინბაზობით, სტაცებს რა ოპოზიციას ყველა პოზიციას, ჰერიტაჟის თვით ოპოზიციონერებს, „ჰერიტაჟი“, გაიძახის და მოუწოდებს ყველას — დაირაზმნენ მისს „ნაციონალურ მთავრობასთან“, ე.ი. მასთან და... დანარჩენი პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები და სხვ. და სხვ. .... „გადაიქცნენ კულტურულ საკითხების დამმუშავებელ და თვითგანვითარების წრეებათ“.

„.... ასეთი მუშაობის შედეგი უნდა იყოს სავსებით გაუქმება პოლიტიკურ პარტიული დაჯგუფებების და შექმნა ერთი მთლიანი ნაციონალური ბანაკის“...

24 — 12 — 1938.

მაშასადამე, ასეა: ერთად ერთი პოლიტიკური ორგანო — უნდა იყოს „ნაციონალური მთავრობა“ (იგივე უორდანია), დანარჩენი ყველაფერი ისპობა და ეს „ნაციონალური ბანაკი“ უნდა მიესიოს „კავკაზის“, — საზღვრების ცნობისათვის, რომელსაც სცნობს თვითონ უორდანია.

აი ის სათვალთმაქცო ბაზა, რომელზედაც ხერხდება (?) ახალი კომბინაცია, კიდევ ერთხელ საზოგადოებისა, ერის და უცხოელთა თვალის ასაბმელად.



## ჩვენი ხუთი ფელიცადი

წრეულს, იანვარიში შესრულდა ხუთი წელიწადი, რაც პარიზში ვამოვიდა პირველი ნომერი რუსულ უურნალ „კავკაზი“-სა.

დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების აჩქარებულ ტემპისათვის, მეტადრე ემიგრანტულ მძიმე პირობებში, ხუთი წელიწადი — მნიშვნელოვანი ხანია. როგორც ალყა შემორტყმულ ციხეში, საომარ დროის დაჭიმულობით, აქ ერთი თვის სამსახური საღარაჯოზედ — შეიძლება ერთ წელიწადათ ჩაითვალოს.

\*) წარსული წლის მეთერთმეტე ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ პარალელურად ორი ტექსტი, თუ რას სწერდა „კავკაზი“ და რას — უორდანიას „ფრონტი“ და აღვნიშნავდით მათს იგივეობას. „ბრძოლის ხმა“ გამოგვედავა — არაფერი საერთო ამ ტექსტებს არა აქვსო. იქნება ვინმემ სთქვას: უორდანიას დღევანდელ ტექსტსაც, ჩვენ მიერ ხაზგასმულს, არაფერი აქვს საერთო იმავ ტექსტებთან?

და თუ თვალს გადავავლებთ განვლილ გზას, კმაყოფილებით შე-  
 გვიძლიან აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკურ ასპარეზზედ გამოსულთ სა-  
 მშობლოს განთავისუფლების წმიდა იდეალებით, — ჩვენ შეურყევ-  
 ლად და ზედმიწევნით თავიდანვე სწორედ შევაფასეთ საერთო მდგო-  
 მარეობა, კარგად გავიგეთ არსებულ პოლიტიკურ ძალთა ურთიერთო-  
 ბა და არასოდეს არ გადაუხვიეთ ჩვენს ძირითად შეხედულობათა თა-  
 ნამიმდევრობას. მოვლენები მუდამ ამართლებდნენ ჩვენს შეფასებას,  
 გათვალისწინებას და წინასწარმეტყველებასაც კი. ყველა, უკან რომ  
 ვიხედებით, ჩვენი მსჯელობის ლოლიკური სიცხადე გამართლებულის  
 სინამდვილითაც.

პირველსავე მოწინავეში 1934 წლის იანვარში, ჩვენა ვწერდით:

უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენები ევროპასა და  
 შორეულ აღმოსავლეთში, შეიძლება პრელუდიად გადაი-  
 კცეს აღმოსავლეთ ევროპაში დამყარებულ მდგომარეო-  
 ბის საფუძვლიანი ნგრევისა...

ეს იწერებოდა, როცა საბჭოთა კავშირი მსოფლიოსაგან ცნობის  
 ზენიტში იყო. და ჰაიდარ ბამატი სწერდა იმავ ნომერში:

ჩვენ არ გვაშინებს ეფემერული დიპლომატიური გა-  
 მარჯვებანი ს.ს.ს.რ.-ისა ამერიკასა და ევროპაში; არც ბო-  
 ლშევიკების მეგობართა და მფარველთა გამრავლება ზო-  
 გიერთ ქვეყანაში, რომელნიც სინამდვილისა და სინიდი-  
 სიერებს წინააღმდეგ, სცდილობენ წარმოიდგინონ ს.ს.ს.რ.  
 — ისეთ ქვეყანად, საცა ხალხის კეთილდღეობა იზრდება  
 და გ.პ.უ.-ს ჯალათნი — მშვიდობიანობის ანგელოზნი  
 არიან... უნიადაგო ცდა არის.

ისინი ვერ შეაჩერებენ ისტორიის მსვლელობას და  
 ხელს ვერ შეუშლიან ანტისაბჭოების ძალთა განმტკიცებას,  
 რაც ახლო მომავალში წამოაყენებს საკითხს საბჭოთა რუ-  
 სეთის წინააღმდეგ ბრძოლისას, როგორც პირობას, ევრო-  
 პასა და აზიაში მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის...

მთელი ჩვენი ბრძოლის ამ ძირითად დებულებით უტყუვრად ვა-  
 შუქებდით ყველა მოვლენების მნიშვნელობას და კერძოდ არასოდეს  
 არა ვსედავდით მოკავშირეს ერთა ლიგაში, რომელსაც ისეთი წინდა-  
 უხედაობით და უნაყოფოდ შეჰვალადებდნენ ჩვენი „დემოკრატები“.  
 ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ ამ ძალის სხვანაირი ბუნება, რომელიც  
 ეწინააღმდეგება ყოველ ახალ გადაჯგუფებას.

„უნევის დაწესებულება პირველივე დღეებიდან გადაი-  
 კცა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ლიგად, რომელთა მი-  
 ზანი იყო დაცვა, ომის შემდეგ ხელშეკრულობათა ძალით,  
 დამყარებულ მდგომარეობისა ევროპაში“.

ასე ვამბობდით 1934 წ. ენკენისთვის „კავკაზ“-ში, საბჭოთა რუ-  
 სეთის მიღების გამო ლიგაში და იქვე დავძენდით:

„...თვით ერთა ლიგისათვის ეს ახალი და მეტად მძიმე მორალური დალია“. (წერილი: „ერთა ლიგის ბინდი“).

შემდეგს, 1935 წ. ჩვენ შევხვდით ჰაიდარ ბამატის მოწინავეთი, რომლითაც განვსაზღვრეთ ჩვენი ადგილი პოლიტიკაში, უთითებდით რა ეროვნულ მოძრაობათა ამაღლობინებელ ძალებზედ და მარქსიზმის საბოლოო გაკოტრებაზედ. მაშინ ეს ახალი სიტყვა იყო

„...ნამდვილი ცოცხალი და ქმნადი ბიძგი, რომელსაც შეუძლია ალაფრთოვანოს ერები, მარჯვნიდანაა მოსალოდნელი და მარტო მარჯვნიდან. ვერავითარი ფლიდი ჩივილი „ბარბაროსობასა და საშუალო საუკუნეებში დაბრუნებაზედ“, ამ ფაქტს ვერ შესცვლის. საყოველთაოდ სამარცხვინო დამარცხებამ მარქსიზმისა ევროპაში, მახვილი ჩასტა ე.წ. მემარცხენე დოქტრინებს... ქვეყნის გარდაქმნა მოღის ეროვნული დროშით, რომელიც სრული მოწინააღმდეგობაა უსულო ინტერნაციონალისა“. (იანვარი 1935 წ.).

ეს იყო დრო, როცა საფრანგეთში სჯეროდათ „აღმოსავლეთის ბუმბერაზის“ ძლიერების აღორძინებისა და ამაზედ სწერდა „კავკაზი“:

„ჩვენი მოვალეობაა გავათრთხილოთ ჩვენი მეგობარი ფრანგები, რომ უდიდესი შეცდომა და უბედურება იქნებოდა საფრანგეთისათვის, დაიჯეროს, რომ გერმანიის საშიშროების წინაშე ორივე სახელმწიფოს ბედი (ე.ი. საფრანგეთის და რუსეთის) გადაწნულია ერთმანეთზე... საფრანგეთი და ფრანგები არ არიან ლირსნი მეორე ბრესტ - ლიტვესკისა“. (თებერვალი 1935 წ.).

როდესაც საფრანგეთ-საბჭოების პაქტი იქცა ფაქტად, „კავკაზ“ მა არ დააყოვნა ალენიშნა (მაისი 1935), რომ ეს უფრო მჭიდროდ დაახლოვებდა იტალიასა და გერმანიას. ალნიშნა ისიც, რაც მერე განხორციელდა მიუნხენსა და პარიზში:

„გამოსავალი ერთია — შეთანხმება ორი დიდი სახელმწიფოსი, რომელნიც ევროპის ცივილიზაციას უდგანან სათავეში და ისტორიულად და გეოგრაფიულად ბედმა მეზობლებად გახადა მჭიდროდ“ (11—1935).

ორთაც ჩინტერნაციონალის აღტყინებამ პაროქსიზმს მიაღწია. ომისკენ იწევენ მათთან ერთად, მათთან დაახლოვებულნი ზოოლოგიური ბრაზით, ყველა „პაციფისტები და დემოკრატები“. ერთა ლიგის კულისებში და საერთაშორისო დიპლომატიაში მოქმედებენ. იდუმალი ძალები, რომელნიც ხელსა ჰქონდა მთავრობათ ომისაკენ „მშვი-

დობიანობისა და დემოკრატიის“ სახელით“. (12—1935).

„კავკაზს“ არც ის ზამოპარვია, რომ მუსოლინი გაიმარჯვებდა

ეთიოპიაში, მიუხედავად უენევის სანქციებისა; რომ ეს კიდევ უფრო დაახლოვებდა ბერლინსა და რომს (I—1936) და მოსკოვის ჩათრევას ევროპიულ პოლიტიკაში რაც შედეგები მოჰყვებოდა:

„დიდხანს არ დასჭირდა ცდა. საფრანგეთ - საბჭოთა პაქტს მოაქვს თავისი ნაყოფი. რეინის განიარაღებული ზონა გერმანელ ჯარებმა დაიჭირეს. ლოკარნოს ხელშეკრულობა და ვერსალის ტრაქტატის მესამე მუხლი გაუქმდა გერმანიის ცალმხრივი ნებით“.

იქვე აღნიშნავდა ბ-ნი ოლენინი რუსეთის სამხედრო მდგომარეობას, რაც მალე სხვებმაც დაინახეს,

„რუსეთი სუსტია. სარეკლამო ტექნიკა წითელი ლაშ-ქრისა ისეთივე ღირებულებისაა, როგორც მსოფლიო მილწვანი ღნეპროსტროისა, მაგნიტოგორსკისა თუ თეთრი ზღვის არხისა... იმიტომ ალაპარაკდა მოსკოვი მშვიდობიანის ენით და დიპლომატიური მლიქვნელობით, რომ კარგადა გრძნობს თავის სამხედრო სისუსტეს... ჩვენი ვალია აღვნიშნოთ, რომ იმედი რუსეთზედ უნიადაგო ოცნებაა, საშიშო მირაუი, საცა აღმოჩნდება არა რუსეთის ძალა, არა-მედ სრულიად რუსეთის სიყალბე“ (მარტი 1936 წ.).

ასეთივე სისწორით უთითებდით „კოლექტიური უზრუნველყოფის“ საშიშროებაზედ და „განუყოფელი ზავის“ პოლიტიკის ნგრევაზედ. სინამდვილემ ესეც გაამართლა: ანშლუსი, ჩეხო-სლოვაკიის დანაწილება, ბარსელონის აღება — ეს სულ ნაგულისხმევი ეტაფებია ჩვენი გეზის სისწორის აღმნიშვნელი (10—11—1936 წ.).

არა გვქონდა ეჭვი შორეულ აღმოსავლეთის ამბების მსვლელობაშიაც და ჯერ კიდევ ყოველნაირ ანტიკომუნისტურ ბლოკამდე ვამტკიცებდით იაპონიისა და რუსეთისაგან დამონებულ ერთა ინტერ-სების სოლიდარობას, ამიტომ ვეგებებოდით ხალისით ყოველ მის გამარჯვებას.

1937 წლის მარიამობისთვეში ჩვენ შევადარეთ იაპონიის პირველი მინისტრის კონიეს სიტყვა ჩინეთზედ მუსოლინის სიტყვას პალერმოში და ვიწინასწარმეტყველეთ იაპონიის დაახლოვება რომ-ბერლინის ღერძთან:

„სიტყვა პალერმოში — გამოხმაურებაა ტოკიოს პირველი მინისტრის სიტყვაზდ, რაცა ჰქმნის სამმაგ სოლიდარობას მსოფლიო მნიშველობისას“.

მაშინ არსად იყო ჯერ „სამთა კავშირი“.

1938 წლის აპრილში:

„ინგლის-იტალიის შეთანხმება, საცა არ იხსენიება ერთა ლიგა, იაპონია-გერმანის შეთანხმების შემდეგ და იტალია-გერმანიის ღერძის შექმნა — არის ოფიციალური რეგისტრაცია ერთა ლიგის სიკვდილისა“.

ჯერ კიდევ 1938 წლის მკათათვეში სწერდა „კავკაზი“ იმაზედ, რაც განხორციელდა ენკენისთვეში: ჩვენს მოწინავეს ერქვა „უმოს-კოვოდ“ და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა რუსეთი ვეღარავითარ როლს ვერ ითამაშებს დიდ სახელმწიფოთა კომბინაციებში და ის გარიყულია. მიუნხენმა ეს დაამტკიცა. და როგორც შარშან, ენკენისთვის აღელვებულ დღეებში, ომის სუნი რომ დატრიალდა, „კავკაზი“ ოპტიმისტურად განაგრძობდა:

„...დიდი სახელმწიფონი ევროპისა — იპოვიან საერთო ენას... და ჩეხები უკანა რიცხვით იქნებიან იძულებულნი მიხვდნენ, თუ რა საბედისწერო შეცდომებს აკეთებდნენ მეზობელთაგან იზოლაციის პოლიტიკით“.

„კავკაზის“ ამ ნომერის გამოსვლის შემდეგ, სამმა დღემ გაიარა მიუნხენის ხელშეკრელობამდე, ჩეხის ბედი რომ გადასწყვიტა.

ყველაფერი ზემოალნიშნული მოგვყავს იმისათვის, რომ ცხად ვყოთ, თუ რა სიფრთხილით და საზრიანად ექცევა „კავკაზი“ ყველა დიდ მოვლენას და მკითხველმა თითონ გამოიტანოს დასკვნა, თუ რა-მდენად სანდო იქნება მომავალშიაც ჩვენი პროგნოზები. იმ მომავალ-ზედ, რომელიც თანდათან ბედის სასწორსა ხრის ჩვენს მშობლიურ აღმოსავლეთისაკენ.

ახალს, ჩვენი მუშაობის მეექვსე წლის ზლურბლზედ ქრისტიშობისთვის ნომერი ჩვენ დავიწყეთ მომავალისათვის ლირსშესანიშნავი სიტყვით: „გაუმარჯოს უკრაინას!“. ამით შევდივართ ახალსა და მე-ექვსე წელიწადში.

\*\*



## ნაციონალ - სოციალიზმის „რეაციონერობაზე“

(გაგრძელება\*)

ადამიანის განთავისუფლება ეკონომიურ დამოკიდებულობის მძაფრ ბრჭყალებისაგან კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა მუდმივი მისწრაფება იყო და დარჩება. რომელი პატიოსანი მოაზროვნე არ მოუხიბლავს ამ იდეას. თვით მშრომელთ ხომ ასეთი მოძღვრება, იმედი იმისა, რომ მათ, ცხოვრების მიერ დაჩავრას შეიძლება ბოლო მოეღოს, მალამოსავით ეცხებოდა. ეს იმედი მათ ყოველთვის ბრძოლისაკენ იწვევდა, უკიდურეს თავგანწირვამდე რა რაოდენი სისხლი დალვრილა ამ მისწრაფების გამო, საუკუნეთა განმავლობაში.

\*) იხ. პირველი წერილი „კავკასია“ № 1 (20).

მშრომელთა ამ ლტოლვას გამოხატულება სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ჰქონდა და, როგორც ვიცით, ახალ ხანაში იგი სოციალიზმის სახით მოგვევლინა, რომლის თანახმად, უნდა მომხდარიყო შრომის ემანსიპაცია, ანუ შრომის, სოციალიზმის სამეფოში შესვლა, რაც თავის მხრით ნიშნავდა კერძო საკუთრების მოსპობას და საწარმოვო იარაღთა და ქონების განსაზოგადოებას.

კაცობრიობის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ დღეს არ არის საზოგადოების არც ერთი მებრძოლი ჯგუფი თუ პარტია, რომ მშრომელთა მისწრაფებას გვერდს უვლიდეს და ამა თუ იმ სახით არა სცდილობდეს საზოგადოების ამ ტკივილების გაქარწყლებას თუ არა, მოშუშებას მაინც. ამიტომაა, რომ, ვისაც ნაციონალ სოციალიზმის ბუნების სწორი გაგება უნდა, ეს გადამწყვეტი გარემოება თვალთა ხედვიდან არ უნდა გამოეპაროს. დიახ, შეიძლება ბევრს ეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილე ასეთია, დღევანდელი გერმანია თავისებური სოციალიზმის ნიაღავზე სდგას. მისი მისწრაფებაა — აღამიანის მიერ აღამიანის დაჩაგვრას სამუდამოდ ბოლო მოულოს. მიუახლოვდეთ ამ საგანს ახლო.

ამას წინად, გერმანიის დღევანდელმა მეთაურმა ამ საგანზე ფრიად ლირსშესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. მან გადაჭრით განაცხადა, რომ კაცობრიობას დღევანდლამდე, თუ არ მივიღებთ სარწმუნოების გარშემო მოძრაობას, ორი უდიდესი იდეა ამოძრავებდაო, ნაციონალიზმი და სოციალიზმი. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ამ იდეებისათვის უამრავი მსხვერპლი იწირებოდა. ჩემს წინაშე დაისვა საკითხი: შესაძლებელია თუ არა ამ ორი იდეის შეერთება, მათი ერთმანეთში გადადულება, მათი სინტეზი და საკითხის მრავალ მხრივ შესწავლამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არა თუ შეიძლება, არამედ ასეთი სინტეზი თვით ცხოვრების მიერაა ნაკარნახევი. ნაციონალ-სოციალიზმისათვის წარმოუდგენელია ნაციონალიზმი უსოციალიზმოდ, და სოციალიზმი უნაციონალიზმოდ. ამიტომაა, რომ ამ მისწრაფების საუკეთესო გამომხატველები ბალდურ ფონ შირახი, დოქტორ გობელი, დოქტ-რ ლეი, რუდოლფ ჰესი და ადოლფ როზენბერგი ხმა მალლა აცხადებენ: „ჩვენ მივდივართ წინ — სოციალიზმით ნაციონალიზმისაკენ“. მხოლოდ ესაა, რომ ნაციონალ-სოციალიზმის სავალი გზები, მისი საშუალებანი ამ დასახულ მიზნის მისაღწევად რაღიკალურად განსხვავდება სხვა ყველა სოციალისტურ მიმართულებათაგან, ანუ უკეთ, ძირბუღიანად უარყოფენ მათ ძველ გზებს.

უწინარეს ყოვლისა, ნაციონალ - სოციალიზმისათვის აბსოლუტურად მიუღებელია კლასთა ბრძოლა, როგორც ბრძოლის საშუალება. იგი მიაჩნია მავნებლად ყოველ გვარ პირობებში. ჩვენც შევჩერდეთ პატარა ხანს ამ საგანზე.

უდაოა, რომ არსებობენ კლასები და მათ შორის წინააღმდეგობას აღგილი აქვს ცხოვრებაში და ამას არც ნაციონალ-სოციალიზმი უარყოფს. მხოლოდ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ აუცილებლად ეს მოწინააღმდეგე კლასები განუწყვეტლივ ბრძოლაში უნდა იყვნენ

და ისიც იმ სახით, რომ ეროვნულ სხეულს, როგორც მთელს, ანგრევ-  
 ლნენ, რასაკვირველია, სრულიადაც არ გამომდინარეობს. ერის ბედ-  
 ნიერება, მისი წინსვლა დამყარებულია უმთავრესად შრომაზედ. ერ-  
 თი დღეც კი უაზროდ გაცდენილი, ეროვნული ქონების გაფლანგვას  
 უდრის. და თუ ეს კლასთა შორის ბრძოლა ისეთ სახეს იღებს, როგორც  
 გინდ ახლანდელ საფრანგეთში, ცხადია, დამლუპველია ეროვნულ მე-  
 ურნეობისათვის, რაც თავის მხრით საზიანოა თვით ამ ბრძოლაში ჩა-  
 ბმულ კლასებისათვის. მაშასადამე, მმართველობას, რომელიც საზოგა  
 დო, საერთო ინტერესების სადარაჯოზე სდგას, არა შემთხვევაში არ  
 შეუძლიან დაუშვას, რომ საზოგადოებაში კლასთა შორის ბუნებრივ  
 წინააღმდეგობამ ისეთი სახე მიიღოს, რომ ამით მთელს ზარალი და  
 კიდევ მეტიც, მთლაც დალუპვა მოელოდეს. ცხადია, მმართველობა  
 უნდა ცდილობდეს მრავალ საშუალებით, სახელმწიფოს იძულები-  
 თი ორგანოებითაც, ამ მოწინააღმდგე ინტერესთა შუა ჩადგომით, შე-  
 ბრძოლ მხარეთა მორიგებას, შრომის პროცესის ჰარმონიის შექმნას,  
 ან როგორც დიდი ილია ქართულად იტყოდა — მათ შორის ხიდის გა-  
 დებას. და არც ყოფილა მსოფლიო ისტორიაში არც ერთი მმართვე-  
 ლობა, ხელისუფლება, გინდ სოციალისტურიც კი, როცა იგი, მაშასა-  
 დამე ოპოზიციაში აღარ არის, რომ ამ მორიგებას არა ცდილობდა.

ზემო ნათქვამიდან დასკვნა თავის თავად გამომდინარეობს, რომ  
 დღევანდელ საზოგადოებაში ინტერესთა სხვა და სხვაობის არსებობა,  
 სრულიადაც არ გულისხმობს ამ ინტერესების ხელოვნურად გაღვივე-  
 ბას და მეტადრე აშკარა კონფლიქტამდე მიყვანას, რაც ყოველი ჯუ-  
 რის სოციალისტურ პარტიებს თავის მოქმედების ალთა და ომეგად  
 მიაჩნიათ.. აქ ერთ საკვირვლებასთან გვაქვს კიდევ საჭმე.

ინტერესთა წინააღმდეგობა და ხან და ხან ძალიან დიდიც, ერთა,  
 სახელმწიფოთა შორისაც არსებობდა და არსებობს, მაგრამ აქედან  
 სოციალისტურ წრეებს ის დასკვნა არ გამოჰყავდათ, რომ ერები უნდა  
 დასჯახებოდნენ ერთმანეთს. პირიქით, ისინი წარსულში ყოველი საშვა-  
 ლებით ებრძოდნენ ომის საშიშროებას, მის წარმოშობას. მათი ლო-  
 ზუნგი იყო ძირს ომი, გაუმარჯოს მშვიდობიანობას. აქ არავითარი  
 ლოლიკა არა სჩანს. შეუძლებელია კლასთა ბრძოლის მომხრე იყვე იმ  
 მოსაზრების გამო, რომ საზოგადოებაში ინტერესთა წინააღმდეგობაა  
 და ომის წინააღმდეგი იყვე, როცა ეს წინააღმდეგობა ერთა შორისაც  
 არსებობს. ამ უამაღ ეს ულოლიკობა გამოსწორებულია. მოხდა ერთნა-  
 ირი მეტამორფოზა. დღეს ყველა ჯურის სოციალისტი, პაციფისტი,  
 ომის მომხრეა, რასაკვირველია თავისებური დასაბუთებით და ამავე  
 დროს კლასთა ბრძოლისაც ძველებურად. აი აქ ლოლიკა სავსებით და-  
 ცულია. სამაგიეროდ კონსერვატორებმაც, ყველა ჯურის მემარჯვენე  
 პარტიაბმაც ფერი იცვალეს. ყველა ისინი ახლა წინააღმდეგნი არიან  
 კლასთა ბრძოლის, როგორც წინეთ და ამავე დროს ერთა შორის  
 მტრობის და შულლის მოსპობის მომხრენი ხდებიან და ომის საშინელ  
 მოწინააღმდეგებად გამოდიან.

აი ერთი კარდინალური, ძირითადი განსხვავება ნაციონალ - სო-ციალიზმსა და სოციალისტურ პარტიებს შორის.

მეორე ძირითადი განსხვავება გამომდინარეობს პირველიდან. ნაციონალ-სოციალიზმი უარჲყოფს რა კლასთა ბრძოლის გაღვივებას და მათ მორიგებას სცდილობს საკუთარ ერში, თავისთავად იგულისხმება, იგი ბუნებრივი აუცილებლობით წინააღმდეგია და მტერი აგრეთვე ყოველგვარ ინტერნაციონალურ შეკავშირბისა ამ ნიადაგზე.

სოციალურ საკითხის გადაჭრას ის სცდილობს სულ სხვა საშუალებებით.

დღევანდელმა წმინდა კაპიტალისტურმა მეურნეობამ რომ თავისი დრო მოჭამა და რომ იგი საზოგადოებისათვის მრავალ შემთხვევაში მავნებელი გახდა — ეს ნაციონალ - სოციალიზმს მკაფიოდა აქვს წარმოდგენილი. ამავე დროს იმაშიც არის დარწმუნებული, რომ ამ სისტემის ასე ადვილად მოსპობა, ერთის დაკვრით, დეკრეტებით რუსეთის ბოლშევიკურ ეკონომიკურ ანარქიის მეტს ვერაფერს მისცემს საზოგადოებას. და მართლაც, ხომ გამოირკვა, რომ არა თუ ბოლშევიკურ მეთოდით სოციალური საკითხების მოგვარება შეუძლებელია, არამედ ზოგიერთი სოციალისტური გზებიც, როცა რომელიმე ქვეყნის სოციალისტური პარტია მმართვლობის სათავეში ექცეოდა, დამღუპველი გამოდგა ქვეყნისათვის. და იქ, სადაც მმართველობის მეთაურნი პატიოსანი, გულწრფელი, მაღალი პასუხისმგების გრძნობით აღჭურვილი პიროვნება იყო, როგორც მაკდონალდი ინგლისში, ის დაუყონებლივ, უყოყმანოდ, რაღიკალურადა სცვლიდა თავის პოლიტიკას ქვეყნის ეკონომიკურ დალუპვისაგან გადასარჩენად.

როგორც ვიცით არავითარი უნივერსალური რეცეპტი „კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალსტურში შესასვლელად“ არ არსებობს. ეს გარდაქმნა რა სახეს, რა ფორმას მიიღებს ვერც ერთმა სოციალისტურმა პარტიამ სრულის სიზუსტით ვერ აგვიწერა. ამ გარემოებას ჯერ კიდევ კარლ კაუციმ მიაქცია ყურადღება თავის წიგნში: „სოციალისტური რევოლუციის მეორე დღეს“. ამიტომ ჩვენც ბოლოს და ბოლოს უნდა ვიკითხოთ, რა არის სოციალიზმი, რა შინაარსია ამ ცნებაში? რომ ამ ცნების განსაზღვრა ფორმულით: „კერძო საკუთრების მოსპობა და საწარმოო საშუალებათა საზოგადოების ხელში გადასვლა“ — არა კმარა, ეს საუკეთესოდ გვაჩვენა რუსეთის მაგალითმა. ამიტომ იყო, რომ ლენინი, ხედავდა რა ამ ფორმულის უნიადაგობას, სხვა განმარტება მისცა. სოციალიზმი — ანგარიშიანობააო, განაცხადა მან ერთხელ პესიმისტურად, ამჩნევდა რა კარგად, რომ მისი „სოციალიზმის“ გემზე ყველა იალქნები უკვე იწვოდა.

ჩვენი დეფინიცია ამ ცნების, თუ კადნიერებად არ ჩამოგვერთმევა, იქნებოდა ასეთი: სოციალიზმის შინაარსია — საზოგადო შრომით შექმნილ ლირებულების საზოგადოებრივ - სამართლიანი განაწილება. და ვთიქრობ, ნაციონალ-სოციალიზმი უწევს რა ანგარიშს ყველა ამ გაკვეთილებს, ის უდიდესი სითრთხილით უდგება ამ პრობლემის გადაჭრას და, თუმცა მას ასე მკაფიოდ არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ ფაქტიურად ზემო მოყვანილ ფორმულით ხელმძღვანელობს. ამიტო-

გაა, რომ ამავე დროს მან რკინის ხელით ალაგმა კაპიტალისტურ კლასის აღვირ წახსნილობაც.

მათი მუშაობა, ეკონომიური საქმიანობა დაუმორჩილა ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესებს. შექმნა რა მუშათა დისკიპლინა, ამ დისკიპლინას თვით კაპიტალისტური კლასიც დაუქვემდებარა სახელმწიფოს, როგორც მთელი საზოგადოების გამომხატველ ორგანოს (დღეს იგი აღარაა მარტო „კაპიტალისტთა კომიტეტი“). უმაღლესი ინტერესია — ყველა მისი შემადგენელი ნაწილები ჯანსაღად იყვნენ. ყოველი მისი ცალკე ნაწილის მოშლა, დასუსტება იწვევს ამ მექანიზმის, სახელმწიფოს დასწეულებას. მით უმეტეს, რომ დღევანდელი გერმანიის სახელმწიფო იმავე დროს უდიდესი მწარმოებელია, უაღრესი ეკონომიური ფაქტორი და გამოირკვევა თუ არა, რომ რომელიმე კერძო წარმოებას კერძო ნიშნები აღარა აქვს, იმიტომ რომ მას არ შეუძლიან მუშათა განსაზღვრულ რიცხვის წარმოებაში დატოვება და ტარითით დაწესებული სამუშაო ხელფასის მიცემა, სახელმწიფო დაუყონებლივ თავის ხელში იღებს ამ წარმოებას და საკუთარი ძალებით უძლვება.

ნაციონალ-სოციალიზმია კარგად იცის, რომ ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის, მისი სიმდიდრის შემქმნელი მხოლოდ მუშათა ძალაა, ძალა ფიზიკურად და გონებრივად მომუშავეთა. მაშასადამე, ამ ძალის უზრუნველყოფა, მისი კეთილდღეობა სახელმწიფოს პირველ ამოცანადა ხდება; რამდენადაც საზოგადოებაში დაგროვილი ქონება ამის ნებას იძლევა. ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია გადაჭრითა ვსტქვათ, რომ მუშათა სამუშაო ხელფასი იმ დონეზე აყვანილი, რომ მას არც არაფერი მოემატება და არც არაფერი დააკლდება. სამაგიეროდ წარმოების პატრონსაც რჩება შექმნილ ქონებიდან მხოლოდ იმდენი, რაც აუცილებლად ესაჭიროება მის წარმოების შენახვას. დანარჩენი გადადის სახელმწიფოს ხელში, რომელიც ქვეყნის შინაურ და გარეშე საღარაჯოზე სდგას. აქედან ჩვენ იმ დასკვნის გაკეთაბა შეგვიძლიან, რომ მუშის გაყვლეთას, ექსპლოატაციას კერძო მწარმოებლისაგან იმ აზრით, როგორც წინათ გვესმოდა, აქ ადგილი აღარა აქვს. ამ პრინციპის მიხედვით — რამდენადაც ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა მაღლა იწევს, იმდენად მუშის, სიმდიდრის შემქმნელის ხვედრითი წილი იზრდება, ასე ვსტქვათ, ავტომატიურად. აი ეს უკვე უდიდესი მიღწევაა ნაციონალ - სოციალიზმისა. ამით უკვე მშრომელი, თითქმის შონაწილე ხდება წარმოებაში შექმნილ სიმდიდრისა.

მეორე უდიდესი მიღწევაა დღევანდელ გერმანიისა, რომ მან შესძლო კაპიტალისტურ ხანის ერთ უბოროტეს სოციალურ სენის — უმუშევრობის მოსპობა. თუ ამ ხეთი წლის წინად გერმანიაში შეიდი მილიონი უმუშევარი იყო, საწარმოვო პროცესიდან ამოგარდნილი უმუშევართა ლაშქარი, საზოგადოების კეთილდღეობას საშინელ ლოდათ აწვებოდა, — დღეს იგი ფაქტიურად მოსპობილია. პირიქით, მუშათა ხელის ნაკლებობაა. სხვათა გარდა იტალიიდან გასულ წელს 28.000 მუშა იქნა მოყვანილი და წელსაც განზრახულია 37.000 მუშის

მოწვევა. პრობლემა უმუშევრობისა აქ გადაწყვეტილია. მუშა გრძნობს, რომ ის სამუშაოთი უზრუნველყოფილია. წარმოების კრიზისები, რაც კაპიტალისტურ ხანას თანა სდევს, მას არ აწუხებს. მისი ხელფასი სტაბილურია და არა მერყევი, რასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კურსო ცხოვრების მოწყობაში.

ბუნებრივი კითხვა იქნება: რა საშუალებებით მოახერხა ახალმა გერმანიამ ამ, კაპიტალისტურ მეურნეობისათვის გადაუჭრელ პრობლემის გადაჭრა?

პირველ რიგში საჭირო ზომად იქნა მიჩნეული შრომის ნაყოფი-  
ერების მაღლა აწევა. ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის პროდუქციამ  
იმატა 34 მილიარდ მარკიდან 1933 წ. 64 მილიარდ მარკამდე 1938წ.  
აი აქა გვაქვს ჩვენ საუკეთესო გასაღები ამ ამოცანის ასახსნელად: იმა-  
ტა რა ერის ქონებამ შრომის ნაყოფიერების მომატების შედეგად, მა-  
შასადამე იმატა აგრეთვე ხალხის მოთხოვნილებამ. თავის მხრით ამ  
მოთხოვნილების გაზრდამ ხელი შეუწყო წარმოების აყვავებას, რამაც  
კიდევ ხელმეორედ მოთხოვნილება ასწია მაღლა. და ასე: მიზეზი ხდე-  
ბა შედეგად და შედეგი კიდევ მიზეზად.

გარდა ამისა, უმუშევრობის მოსპობის საშუალებად აქ უნდა და-  
ვასახელოთ ახლად შექმნილი შეიარაღებული ძალა, რომელსაც და-  
ჰირდა განსაზღვრული რიცხვი ახალგაზრდობისა; ამავე მიზნისათვის  
ახლად დაარსებული ან გაფართოებული სამხედრო ინდუსტრია.

შემდეგ გრანდიოზული საზოგადო სამუშაოების შექმნა, როგორც: 11000 კილომეტრის სიგრძეზე საუკეთესო, პირველ ხარისხოვანი სა-ავტომობილო გზების გაყვანა, რომელსაც დასჭირდა აუარებელი სა-მუშაო ძალა; ერთ მილიონ სამას ათასი ჰეკტარი უქმად დატოვებუ-ლი მიწა იქმნა მოსახმარ ნიაღავად გადაკეთებული. უდიდესი სახელ-მწიფო, საზოგადო და ბინების მშენებლობა. შემდეგ, მთელ მსოფლი-ოში, როგორც უკიბონიც ადასტურებენ, უდიდესი საავტომობილო ქა-რხნის დაარსება, სადაც უნდა დამზადდეს მუშებისათვის სპეციალუ-რად იაფთასიანი ავტომობილები, რომელიც განსაკუიფრებელ შეღა-ვათიან პირობებში ყოველ მუშა-მოსამსახურეს შეეძლება შეიძინოს. და ბოლოს რეინ-მაინ-დუნაის შესაერთებლად გრანდიოზული სამუ-შაოები და ბოლოს ერთი უაღრსად მნიშვნელოვანი ღარეი — მუშაო-ბის ბეგარა. ყოველი ახალგაზრდა, 18 წლიდან ვალდებულია ექვსი თვის განმავლობაში ეს აუცილებელი სამუშაო შეასრულოს საზოგა-დოების სასარგებლოდ. მათი რიცხვი აქამდე — ახალგაზრდა ვაჟთა—უდრიდა წელიწადში 600,000 სულს. 1939 წლიდან ეს ვალდებულე-ბა ვრცელდება ქალებზედაც, რასაკვირველია უფრო შეღავათიან პი-რობებში. ეს ზომა გარდა იმისა, რომ უმუშევრობის მოსპობას ხელს უწყობს, უდიდესი მორალური, აღმზრდელობითი ღირბულებისაა. ეს სამუშაო ყველამ უნდა გასწიოს შეძლებულია, თუ ლარიბი, თავადია თუ გლეხი, მოწაფეა თუ ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდა. ამ საზო-გადო სამუშაოზე ყველა ერთად ხედება, ეცნობიან, უამხანაგდებიან ერთმანეთს, განურჩევლად მდგომარეობისა. ეცნობიან შრომის პირო-

ბებს, ითვისებენ შეგნებას შრომის ღირებულებისას, რაც შემდეგ მათ ცხოვრებაში მოღვაწეობის დროს გამოადგებათ. ამ საერთო სამუშაოზე მუშავდება ერთნაირად — შრომის კულტი. და შემთხვევითი არ არის, რომ დღევანდელმა გერმანიამ 1 მაისი, ეს შრომის დღე ნაციონალურ დღედ გამოაცხადა და დიდის ზეიმით დღესასწაულობს ყოველწელს და ამ დღის დროშას დაწერა: „პატივი ეცით შრომას, თავი მოუხარეთ მშრომელს“.

აი რამ მოსპო უმუშევრობა — ეს კაცობრიობის უსაშინელესი სოციალური სენი. ახალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ამ გზით მიღის და ამ, ერთხელ აღებულ მიმართულებას არც გადაუხვევს.

გარდა ზემოდ დასახელებული მიღწევებისა, უზრუნველყოფილია მოხუცებულობა, ინვალიდობა, ავაღმყოფობა და სახელმწიფოს უმაღლეს პრინციპად აქვს მიღებული ერთი გარდაუვალი კანონი, რომ არ შეიძლება გერმანიაში მცხოვრები ადამიანი დარჩეს უსახსროდ. საზოგადოება მოვალეა მას მოუხაროს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილს უნდა დაემატოს იმ ორგანიზაციის მნიშვნელობა, რომელსაც ეწოდება: „საზამთრო დახმარება“. ამ გრანდიოზულ, განსაკუიფრებელმა ორგანიზაციამ ხუთი წლის განმავლობაში შესძლო შეეკრიფა 2 მილიარდი მარკა, ანუ 34 მილიარდი ფრანკი, უმთავრესად, რასაკვირველია, შეძლებული წრეებიდან და ამოდენა თანხა მოხმარდა მხოლოდ უღარიბეს მცხოვრებთ. ნაციონალ-სოციალიზმია ასეთ მუშაობას უწოდა: „სოციალიზმი საქმით“ (პრაქტიკული).

ჩვენ შეგვეძლო ამ საგანზე უფრო მეტი შეჩერება, მაგრამ რომ წერილი არ გაგვიგრძელდეს, ვთიქრობთ, ესეც საკმარისია. მხოლოდ აქ მოვიყვანთ ერთ უცხო გამოჩენილი პირის მოწმობას (სხვა მრავალ ამგვარებთან ერთად), რომელიც მაინცა და მაინც დიდი სიმპატიებით არ არის განწყობილი ნაციონალ-სოციალიზმისადმი. ეს გახლავთ ჩეხო-სლოვაკიის „ცივნოსტენსკა ბანკი“-ს პრეზიდენტ - დირექტორის, დოქტორ პრაისის სიტყვა, წარმოთქმული ჩეხო-სლოვაკიის ინდუსტრიის გენერალურ ყრილობაზე. მან განაცხადა სხვათა შორის შემდეგი: „როცა მე ამ ოთხი წლის წინ მთელი გერმანია მოვიარე, შევამჩნიე, რომ აქ საქმე გვქონდა ახალ გერმანიის მეორედ დაბადებასთან, არა მარტო ნაციონალურად, პოლიტიკურად, არამედ სოციალურადაც, და რომ ჩვენ ეს გერმანიის ხელმეორედ დაბადება რეალურ პოლიტიკურ ფაქტორად უნდა ვიცნოთ. პიტლერის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ მან შეიცნო თუ რა შესძლებია გერმანელ ხალხს და მას თავისი ორგანიზატორული ხელით გარეგანი გამოხატულება მისცა“.

დღევანდელი გერმანია, ისედაც განთქმული თავისი ორგანიზაციული ნიჭით, მაქსიმალურ ენერგიას იჩენს ცხოვრების ახლად მოსაწყობად. მისი უზენაესი პრინციპია თვითეულ საზოგადოებრივი ჯგუფის, თუ კიდევ ასრულებს ის საზოგადო ფუნქციას, უაღრესი დაცვა. შრომის დამთავრებული ორგანიზაცია, რაციონალურად გამოყე-

ნება ყოველგვარ შესაძლებელ საშუალებათა მთელის სასარგებლოდ, აი რა გზებით მიღის ახლად დაბადებული გერმანიის ხალხი.

ამ გზებში სოციალური პრობლემის რაღიკალური მოწესრიგება მის უპირველეს ამოცანას შეადგენს.

და ჩვენ გვიკვირს არა ის, რომ ამ ხანად ამა თუ იმ დარგში ყველაფერი ისე არაა, როგორც ეს სასურველი არის, არამედ გვიკვირს ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ამოდენა ქვეყანა 80 მილიონ მცხოვრებით, მოკლებული ბუნებრივ სიმდიდრეს, უალრესად შეზღუდული ეკონომიკურად ნედლი მასალის სიმცირის გამო, არავითარი გარეშე გასაქანით, კოლონიები წართმეული, როგორ ახერხებს იმ განსაკუთრებელ მიღწევებს, რომელთაც ჩვენ თვალ წინა აქვთ ადგილი.

მიეცით მას, თუ გინდ დღვანდელი რუსეთის ბუნებრივი შესაძლებლობანი და თქვენ დაინახავთ სასწაულს!

ზოგიერთი ალბად გვეტყვის: ეს შეიძლება ყველაფერი მართალია, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ პოლიტიკურ თავისუფლების გარეშე, უდემოკრატიოდ სოციალური პროგრესი შუძლებელია და ხომ დღევანდელ გერმანიაში ეს აუცილებელი პირობა ყოველ გვარ წინსვლისა მოსპობილია. ამით ჩვენ ვეხებით პოლიტიკურ, უფრო ვიწროდ, მმართველობის სფეროს. ჩვენც განვიხილოთ იგი შემდეგ წერილში.

დ. სალირაშვილი

ბერლინი.



## ძალლ - პატრინიანი

(მენშევიკური პოემა)

ხმა გავარდნილა ლოვილში,  
 დასელთა ზემო მხარშია,  
 პარტიასა შლის ნოეო,  
 იჩქარის როგორც რაშია,  
 არცა იკადრა შეკითხვა,  
 არც მოსვლა კენჭის ყრაშია,  
 ქალი და კაცი კითხულობს:  
 გვითხარით საჭმე რაშია?!

ატირდა ურატაული,  
 ველარ მოსულა ახშია,  
 წინ უზის პარტ-ამხანაგი,  
 ძალლი, სახელად მაქსია

„ძალლო მოგიკვდეს დამგეში,  
 ვინც შენ პირველად დაგსია,  
 ჩაგწერა პარტიაშია,  
 შეჰქონდა შენთვის ტაქსია!

გქონდა საწევრო ბილეთი,  
 ნაწერი ქარაგმებითა,  
 გიყვარდა კლასთა ბრძოლაი,  
 ეროვნულ ზედნადებითა,  
 იცოდი კუდის აწევა  
 როს ჩამოგვთვლიდნენ ხმებითა,  
 კომისიაში გირჩევდნენ  
 ერთის ხმით ჩემზედ მეტითა!

აწ წაგვიშალეს პარტია,  
 რა ვქნათ მე და შენ ახლაო,  
 არ იცი, უპარტიოთა —  
 ძნელია ფიშტოს დახლაო,  
 ველარც გოდორზედ შევდგები,  
 რომ ვჩანდე ჩემზედ მაღლაო,  
 წავიდა ჩემი ყველაი —  
 ამდენი ცდა და დაღლაო!“

მაქსიამ უთხრა: „როგორლაც  
 ეს მე არ მეჯერებაო,  
 ეს თუ სულნათმა დასწერა —  
 სხვა აზრით ეწერებაო,  
 ვიცი რომ ბევრი შენ მისი  
 თავში არ გეჩერებაო,  
 მინდა რომ მასთან წამომყვე  
 და გაუმართოთ კრებაო!“

გასწიეს ამხანაგებმა,  
 გავლეს გზა უგრძოესია,  
 მივიღნენ, ნახეს, მოუთხრეს:  
 ხართ ნოეთ უნოესია!  
 მაგრამა ნუ თუ რაც ისმის  
 იგი რიგი და წესია,  
 პარტიის დაშლის ამბავი  
 ნუ თუ უმომენტესია?!

მაგას ნუ იზამ სულნათო,  
 ნუ გაგვხდი მტრისა გულისად,  
 ორმოცის წლისა პარტიის  
 შენ ნუ დაფშუტავ გუდისად,  
 ვიღრე ხარ, იყოს პარტიაც,  
 ნუ გახდი ნათელს ბუუტისად,  
 შენს შემდეგ ვინც ვერ განაგოს,  
 დე, ის მოიქცეს მრუდისად!

სულნათმა უთხრა: „ეგ საქმე  
 მე სხვებმა მომიგონესო,  
 მემარჯვენენი ამბობენ,  
 თორემ ვით ვარ მაგ დონესო,  
 ბრიყვია ურატაულიც,  
 ვერ მოვიყვანე გონესო,  
 მე სულ სხვა რამეს ვაპირებ,  
 ეგ კი მიკეთებს თონესო!“

შოთამ თქვა: კლასი კარგია,  
 არც ერი არის აუგი,  
 ხან ერი უნდა წასწიო,  
 ხან კლასსაც უკან დაუხი,  
 საქმე არ თავში ცხადია  
 თუ რომ ბოლო არ გაუგი,  
 აქა დაშლილსა პარტიას  
 მე ფუძე სხვაგან აუგი!

ჩამიყვანებენ ქალაქში  
 ეროვნულები ვერითო,  
 თუ ნახოთ რომ მე შევძვერი —  
 თქვენც თითოდ შემოძვერითო,  
 წინ სულ ისინი ვატაროთ,  
 სანთლით და სეფისკვერითო,  
 უკან ჩვენები მოსდევდნენ  
 ფიშტო და რევოლვერითო!

მაშინ ღა ნახეთ პარტია,  
 ტახტი დაუდგათ ქებული,  
 მეორეთ მოვკლათ ილია —  
 ჩვენს ზურგზედ გასუქებული,  
 აგია იგი ტაქტიკა  
 ამ უამაღ ჩემგან ლებული,  
 ხან კლასი, ხანაც ნაცია  
 პარტიით შემორებული!“

ფატმანის ქაჯი



## მენშევიკური „პრიციპები“

როდესაც სადმე გაჩნდება ომი, ან საომარი მდგომარეობა, მენშევიკური პრესსა („ბრძოლის ხმა“, „დამოუკიდებელი საქართველო“ და სხვ.) მუდამ „დაჩაგრულთა“ მხარეზეა; და მკითხველი საზოგადოების ჩვილი გული მონადირებულია „უმაღლესი სამართლიანობისა“ და დაჩაგრულ და მცირე ერთა სოლიდარობის გრძნობით... თუნდაც ეს „სოლიდარობა“ სრულებითაც ეწინააღმდეგებოდეს კერძოდ საქართველოს იდეოლოგიურ თუ პოლიტიკურ ინტერესებს.

გავიხსენოთ, მაგალითად, ეთიოპიის ამბავი. მენშევიკური პრესსა, ყველა ჯურისა, იცავდა ყმებით მოვაჭრე ბარბაროსულ ეთიოპიას „ფაშისტურ იმპერიალიზმისაგან“, თუმცა იმ ხანად, სწორედ ეთიოპია იყო ფაშტიურად იმპერია, საცა სამი მილიონი აბაშელი პყრობდა, ჰყულეფდა, ჰყიდდა და აწამებდა თორმეტ მილიონიან სხვა და სხვა ტომის მოსახლეობას.

მუსოლინმა გაიმარჯვა, ახლა იტალიის მეფე გახდა — იმპერატორი და მენშევიკური პრესის სულისჩამდგმელნი სწერენ... მემორანდუმს, გუშინ დაგმობილ ფაშისტებს და დღესაცა სცდილობენ მათი გულის მოგებას... საიდუმლოდ.

ასეთია მენშევიკური „პრინციპები“.

გავიხსენოთ ამბავი ისპანიისა. ფრანკო, მენშევიკური პრესისათვის იყო — „აჯანყებული ბანდიტი“ და რესპუბლიკანური „კანონიერი მთავრობა“ მათი თაყვანისცემის საგანი, თუმცა ქვეყანამ იცოდა, რომ სწორედ ამ მთავრობის სულის ჩამდგმელი, იარაღითა, სურსათით, ტენიკური ძალებით და ცოტაოდენი ჯარითაც მთავარი მკვებავი იყო, საქართველოს ჯალათი, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა.

ორივე შემთხვევაში ახდილად, საჯაროდ დაცულია „პრინციპი“: — „ვისაც უნდა, ებრძოლოს ბოლშევიზმს, უნდა ებრძოლოს — ფაშიზმს“ (აფორიზმი ნ. უორდანიასი). ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენი მენშევიკური „კანონიერი მთავრობა“ ხვალ თავის ცირკულიარულ მემორანდუმთა ერთ ცალს, გუშინ დაგმობილ ფრანკოსაც მიართმევს.

შარშან ჩეხოსლოვაკია „გაწეწეს“ და მენშევიკური პრესსა დასტიროდა ამ „დაჩაგრული ერის“ ბედსა, თუმცა სამ მილიონ ნახევარი გერმანელი, ორ მილიონ ნახევარი სლოვაკი, თითქმის ერთი მილიონი უნგრელი და ... ორასი ათასი პოლონელი ამ პატარა იმპერიის ბენეშურ კლანჭებში ჰგმინავდა.

ნულარას ვიტყვით „ანშლუსზედ“, რომელზედაც ოკუნებობდა მთელი ავსტრია, — როცა გერმანიაში ბატონობდნენ სოც. დემოკრატები და პარიზის ემიგრაციაში მენშევიკები, და მათს აღშფოთებულ გოდებაზედ, როცა ეს ანშლუსი მოხდა ერთი წვეთი სისხლის დაულ-

ვრელად... გიტლერის წყალობით. მაგრამ მოგეხსენებათ: „პრინციპი უპირველეს ყოვლისა“ — აი უმაღლესი პრინციპი მენშევიზმისა:

*Fiat justitia pereat mundus.*

და უცებ რას ვხედავთ დღესა? ასეთი „პრინციპიალური“ ხალხი, რომლისთვისაც „რეალური პოლიტიკა“, „იდეოლოგიური კომპრო-მისი“, და სხვა ასეთი დაბალი ხარისხის მცნებანი მიუღებელი იყო, თუნდაც მართლა უმაღლესი პრინციპის — საქართველოს ინტერესებისათვის, — დღეს სრულიად მისაღებ, საქებურ და პატრიოტულ სა-ქმედ გადაიქცა.

რა მოხდა? რამ მოახდინა ასეთი აბრუნდი მენშევიკურ „პრინ-ციპიალურ“ ბანაკში?

„უბრალო“ რამ. გერმანიამ და იტალიამ განათავისუფლეს, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით, სხვებთან ერთად — კარპატის უკრაინაც. კარპატის უკრაინა დარჩა ახალ ჩეხო-სლოვაკიის სა-ხელმწიფოს ფარგლებში, — პოლიტიკური ავტონომიით; და რაც უფრო საგულისხმოა, მთელი მსოფლიოს პრესა ალაპარაკდა იმაზედ, რომ კარპატის უკრაინა ამიერიდანა ხდება პოლიტიკურ, სამხედრო და ყოველნაირ ბაზად — მთელ უკრაინის ერის განთავისუფლებისა-თვის უცხოთა ულლიდან... ერთა თვითგამორკვევის პრინციპით\*).

და აი, ამ „უბრალო“ ამბავმა, რომელსაც სწორედ შეიძლება მო-ჰქონდეს რეალური შედეგები საქართველოსა და კავკასიისათვის, — და-ავიწყა „რეალური მოსახლეობის“ პრინციპიც, „ერთა თვითგამორკვე-ვისაც“ და საერთოდ ყოველნაირი პრინციპიც. ვამბობთ „დაავიწყა“, რადგან, როგორც ყველა ზემოაღნიშნული მაგალითებიდანაც გამოს-ჭვივის — სახელმძღვანელოდ ერთად ერთი პრინციპი ჰქონდათ: და-კუა საკუთარი, ეგოისტური, ჯგუფური და პიროვნული ინტერესები-სა, მდგომარეობისა და სახელისა — გინდაც ეს სრულიად წინააღმდე-გი ყოფილიყო საქართველოს ეროვნული, უმაღლესი ინტერესებისა.

ეხლა კი, როცა განყენებული პრინციპები კი არის გამოსაჩენი (რა ეხარჯებოდათ ეთიოპიის ან წითელი ისპანიის დაცვაში?) არამედ ნამდვილი, როცა უკრაინა რეალურად შეიძლება ფარად აეყუდოს კავკასიასა და საქართველოს — მენშევიკებმა შუბი ხალთას ვეღარ

\* ) ჩვენი მენშევიკები ამ უკანასკნელი პრინციპის მიმდევარნი იყვნენ იმ ზომამდე, რომ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდე, საქარ-თველოს მიწებს ურიგებდნენ სომხებს, ოსებს, თათრებს და ვისაც გინდათ და არ გინდათ, თუ რამდენიმე სოფელი ამ უცხო ელემენტით იყო აჭრელებული; დამოუკიდებლობის დროს, უქრატაძეს ხელით სხვას მისცეს მთელი საინგილო და, უილაჯობით, შემოაფაქვნეს საქარ-თველოს განაპირა ყველა კუთხეები; ემიგრაციის დროს. ჩაეწერნენ „პრომეთეულ მოძრაობის“ მებაირალტრეთა ჩრიგებში; ესარჩელებოდ-ნენ და „უკავშირდებოდნენ“ რუსეთის დაჩაგრულ ერებს, რუსეთის მოსალოდნელ დამჩაგვრელების მაგიერ და სხვ.

დამალეს და სკანდალურ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ მთელ „პრო-  
მეთეულ მოძრაობასთან“ ერთად.

რაშია საქმე? საუბედუროდ, უკრაინა, ჩვენზე ცუდ პირობებშია:  
ჩვენი მიწა-წყალი თუ ორ დიდ სახელმწიფოსა აქვს გაყოფილი, (მენ-  
შევიკების წყალობით), უკრაინა გაყოფლია ოთხ სახელმწიფოს შო-  
რის: ჩეხია-სლოვაკია, რუმინია, პოლონეთი და რუსეთი. უკრაინელე-  
ბი ისტრაფვიან მთლიანი უკრაინის აღდგენისაკენ და ჩაცვივდნენ  
„უხერხულ“ მდგომარეობაში: სანამ საკითხი იდგა საბჭოთა რუსეთის  
უკრაინის განთავისუფლებისა, „პრომეთეული მოძრაობა“ მათვის  
ხელსაყრელი იყო, თუმცა სხვა ქვეყნებში ტერორისტულ აქტებსაც არ  
ერიდებოდნენ. დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა. კარპატის უკრაინის  
გამოყოფით და უკრაინის საკითხის იდეური ფარგლებიდან უფრო რე-  
ალურ ნიაღავზე გადასვლით, დადგა საკითხი უკრაინის სხვა ნაწილე-  
ბისაც და აქ „პრომეთეულმა მოძრაობამ“ უცებ იცვალა სახე. „პრო-  
მეთეულ მოძრაობისათვის“ ასეთი ცვლილება ხელსაყრელი არ არია  
და ჩვენ არ ვიცით რა პოზიციას დაადგება თვით უკრაინელი ხალხი  
ამ „მოძრაობის“ მიმართ. ეს ამ ერის რეალური პოლიტიკის გაგებაზეა  
დამყარებული.

მაგრამ ჩვენთვის დღეს ეს კი არ არის საინტერესო, არამედ ის,  
რომ ჩვენი არამკითხე მენშევიზმი, ისეთი პრინციპიალური და მაღალ-  
ფარდოვანი.... ეთიოპის, ისპანის, ჩეხო-სლოვაკიის და... საქართვე-  
ლოს საკითხებში, ახირებულ გეზს ადგება „პრომეთეულ მოძრაობა-  
ში“ მოკავშირე უკრაინის მიმართ. და ლაპარაკობს... რეალურ პოლი-  
ტიკაზედ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“ № 152 და 153, „ბრ-  
ძოლის ხმა“ № 9). უკრაინელებს ურჩევს, უკეთ რომა ვსთქვათ, უბრ-  
ძანებს: დაანებეთ თავი ოცნებას მთლიან უკრაინაზედ და იფიქრეთ  
მარტო საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებაზედ, რადგან ასეთი თქვე-  
ნი ოცნება ხელს უშლის... „პრომეთეულ მოძრაობასაო“.(!).

ახირებული მდგომარეობა არ არის? თითონ მენშევიკები, სამი  
მილიონი საქართველოს სახელით, ერთა თვითგამორკვევის უფლება-  
ზე დაყრდნობით, მოითხოვენ თავისთვის საქართველოს აღდგენას და  
თავის „მოკავშირეს“ — უკრაინელებს ურჩევენ, ხელი აიღეთ ექვს  
მილიონ თქვენ ხალხზედ, რადგან ეს ხელს უშლის... „პრომეთეულ  
მოძრაობასაო“.

ქართულ ენაში არ არის საკმაოდ სურათოვანი სიტყვა ასეთი სუ-  
ლიერი მდგომარეობის გამოსახატავად, რადგან მლიქვნელობა, პირ-  
ოვერობა, ქვემძრომობა და სხვ. ზედმიწევნით ვერ გამოხატავს და რუ-  
სულად კი, ბოლშევიკურად ამასა ჰქვიან — პოდხალიმაჟ, პოლონუ-  
რად — ხოლოპობა.

და რად ხდება ასე და ასე უცებ? უბრალოდ! ქართველი საზოგა-  
დოება მუდამ გამოყრუებული იყო მაღალი, კეთილშობილური, დაჩა-  
გრულთა მოსარჩევე პრინციპების კორიანტელით, რომ სინამდვილე-  
ზედ ყური მოეყრუებინა, თვალი დაეხუჭა და კერძო, ჯგუფური, ეგო-  
ისტური ინტერესებით გაულენთილი მენშევიზმის და მის კანონიერ

წარმომადგენელთა ხელის მოთბობა არ დაენახა, ამ სიცრუის ჯანყის იქით... თუნდ საქართველოს აქედან ზიანის მეტი არა მოსვლოდა რა.

მაგრამ დღეს გაშიშვლდნენ, ნიღაბი ჩამოეფხრიწათ, რადგან მათი მასაზრდოებელი „პრომეთეული მოძრაობა“ შეეჯახა რეალურ მოვლენას — მთლიანი უკრაინის პოზიტიურ საკითხს. და აი, ჩვენი ფინიები, განყენებულ მაღალ პრინციპიალური ტონიდან ჩამოქვეით-დნენ უკვე წკავწკავამდე ახდილად პრესსაში, რასაც აქამდე მხოლოდ კულისებში ჰქონდა ადგილი.

პოლიტიკურ სცენაზე, ისევე როგორც თეატრისაზედ — მაყურებელი საზოგადოება ხედავს და ისმენს პრეცენტიალა მოვლენებს „პრინციპებით“ მორთულ მსახიობთ, მაგრამ... „პრომეთეული“ პრესსის შემქმნელნი ახდილადა სწერდნენ შარშან: „პრომეთეული მოძრაობა“ ჩვენი შექმნილია და უნდა ემსახურებოდეს ჩვენს ინტერესებს“-აო.

ამ სამსახურში ბ-ნმა უორდანიამ ბევრი სირცხვილი სჭამა და ქართველებსაც აჭამა ფარულად და დღეს უკვე საჯაროდ არ ერიდება ამასვე, — უკრაინის ერის საქმეში ჩარევით. დაავიწყდათ „პრინციპები“, დაავიწყდათ სირცხვილი, დაავიწყდათ პოლიტიკური ინტერესიც საქართველოსი და „პრომეთეული“ ბატონის მჭლე ლუკმისათვის უყეფენ — მთლიან უკრაინას.

პოლიტიკური მოღვაწე იმით განირჩევა აგენტისაგან, რომ იგი ათანხმებს თავის ერის ინტერესებს, სხვა სახელმწიფოთა ინტერესებთან და მათ პარტნიორად ხდება, აგენტი კი ათანხმებს საკუთარ, პირად ინტერესებს სხვისასთან და — მოხელედ იქცევა.

ბ-ნმა უორდანიამ ვერასოდეს ვერ გაარჩია ეს განსხვავება და მისი პრესა დღეს გაპერივის „დიდი და სობორნი უკრაინის“ დამლუპველობა-ბაზედ („დამ. საქა.“ № 153, „ბრძოლის ხმა“ № 9), როცა რეალურად უფრო ადვილი განსახორციელებელია ევროპაში რვა მილიონიან უკრაინელის გაერთიანება და შემდეგ საბჭოთა უკრაინის შეერთებაც მათთან... თუ „პრომეთეული მოძრაობა“ და ჩვენი მენშევიკები ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე სდგანან (როგორც საქვეყნოდ გაპერი-დნენ აქამდე); ვიდრე ჯერ საბჭოთა რუსეთის უკრაინის დაძრომა სისხლიან ულლიდან... თორემ ბოლშევიკებიც ხომ ერთა თვითგამორკვე-ვის „პრინციპს“ იზიარებენ... მენშევიკებივით. საწყალი „პრინციპები“ მენშევიზმ-ბოლშევიზმის ხელში, გარმონიკასავით რომ გრძელ-დება და იკუმშება... „გუნების“ მიხედვით.

გასაკვირი არაა, რომ ასეთი ბრძენნი სხვის საქმეში, ეთიოპიი, ისპანიის და დღეს უკრაინისაც, რომელსაც მოსთხოვენ რეალური პოლიტიკის სახელით იბრძოლოს მხოლოდ საბჭოთა რუსეთის წინა-აღმდეგ და თავი დაანებოს, მაგ., პოლონეთს, ასეთსავე რეალური პო-ლიტიკის მიღევნებისათვის კავკასიაში — ჩვენ ხომ ამის მეტს არა-თერს ვამბობთ — ქართულ საზოგადოებაში სახელს გვიტეხავენ ათა-სი უმგვანო ბრალდებით. ჭეშმარიტად: — ძალი შინ არ ვაგროდაო, სანადიროდ გარბოდაო, ამაზედ ითქმის.

რ. გაბაშვილი

## ჰაინანი და მინორება

მსოფლიო პოლიტიკის ჭადრაკის ფიციურზედ ორი პაიყი „მოკლა“ — სისხლის დაუღვრელად: ფრანგიმ დაიჭირა მინორკა და მიკადოს ჯარმა — ჰაინანი. მსოფლიო პრესაშ შედარებით ნაკლები ყურადღება მიაქცია ამ პატარა კუნძულების დაჭერის ამბავს; სამაგიერო კუნძულებით კუნძულების დაჭერის ამბავს; სამხედრო პასუხისმგებელ წრეებში — ალიაქოთი ასტყდა. ფარული ტელეგრაფი ამუშავდა, სახელმწიფო ბიუჯეტებმა და სამხედრო პლანებმა ფერი იცვალეს. ინგლისმა თავდაცვის „ზონა“ ზედმეტი მილიარდებით გასტენა, შეერთებული შტატები — ჰაინოპლანების რიცხვს უკვე ათასობით ადიდებენ, იტალიამ ცოტა ყურები ჩამოჰყარა, იაპონიამ — უფრო მხნედ დაცევიტა. განა რა მოხდა ისეთი, რომ ჩვეულებრივმა საპრესო „ფე დივერ“-მა ასეთი ლრმა ლელვა გამოიწვია სილრმეში?

ბავშვობაში, ალბად, ყველას გვისწავლია, რომ არსებობს სადღაც ბალეარის კუნძულები და ჰაინანის კუნძულზედ იქნება არც კი გაგვიგონია რამე, მაგრამ გეოგრაფიას თავისი კანონები აქვს, რომლის არსებობა, არც ერთ პოლიტიკოსსა თუ მხედარს არ უნდა ავიწყდებოდეს.

მინორკა, ბალეარის ერთ ერთი კუნძულია და ხმელთაშუა ზღვის ისეთ აღგილასაა, საფრანგეთისა და ისპანიის საზღვარ გასწვრივ და თითქმის ინგლის-საფრანგეთის საზღვაო გზების ჯვარედინზედ, რომ მის მფლობელს შეუძლიან დაემუქროს ამ სამ სახელმწიფოს სასიცოცხლო გზებსა და ინტერესებს. ამიტომ ყველა სახელმწიფო, რომელსაც ხმელთაშუა ზღვაში აქვს ინტერესები, გაფაციცებით თვალყურს აღევნებდა ამ პატარა კუნძულის ბედილბალსა. მინორკა ეკუთვნოდა ისპანიას და ეჭირა, უკანასკნელ დრომდე, რესპუბლიკანურ ნაწილს, ე.ი. ყოფილ ანტანტის და დღევანდელ საბჭოთა რუსეთის ფავორიტს. ამიტომ ძალით მისი ხელში ჩაგდება იტალია-გერმანია - ფრანგისათვის, თითქმის მსოფლიო ომის გამოწვევას ნიშნავდა. ინგლისმა აქ საუცხოვო ხერხი იხმარა და მინორკა ჩაგდებინა ხელში კატალონიაზედ გამარჯვებულ ფრანგის, რომელიც ჯერ არც კი უცვნია იურიდიულად. ამით მისი გულიც მოიგო და იტალიასაც, ფრანგის მოკავშირეს, პირი აუკრა, რაღვან იტალიამ დიდი ხანია რაცა სცნო ფრანგი — იურიდიულად და „არაფერ ტერიტორიალურ ინტერესებს არ ეძებს ისპანიაში“. ეხლა განსაკუთრებით ფრანგიზედ არის დამოკიდებული, თუ რას უფრო შეაფასებს: იტალია-გერმანიის დახმარებას საერთო გამარჯვებაში, თუ ინგლისის დახმარებას — მინორკას დაჭერაში. ალბად, ნაციონალისტი და მთლიანი ისპანიის პატრიოტი გამოსძებნის იმ ხაზს, რომელიც ყველაზედ ხელსაყრელი იქნება ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ისპანიისათვის და არა დემოკრატიულ თუ არა დემოკრატიულ სიტყვიერებისათვის.

ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მინორქის პაიკი ფიცრიდან გადატანილი არ არის.

სულ სხვაა მდგომარეობა — ჰაინანისა. ეს პაიკი — მოკლულია და მის ადგილას იაპონიის მძიმე მუშტი დაბანაკდა.

ჰაინანის უფრო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თავისი მდებარეობით და მის დაჭერას — პოლიტიკური მნიშვნელობით.

ჰაინანი ჩინეთს ეკუთვნოდა, და ჩინეთის ზღვაში ისეთი ადგილი უჭირავს, რომ ეხლა იაპონია კრიჭაში ჩაუდგა როგორც საფრანგეთს, ისე ინგლისს და შეერთებულ შტატებსაც. მართლაც, ჰაინანი დასავლეთით პირდარიპ თვალში უყურებს საფრანგეთის ინდოჩინეთს, ჩრდილოეთით — ინგლისისა და საფრანგეთის ჩინურ სამფლობელოებს ჰონგ-კონგსა და კვანგ-ჩეუს და აღმოსავლეთით — ამერიკის, ჩინეთთან ყველაზედ მახლობელ სამფლობელო, ფილიპინის კუნძულებს. მაგრამ რაც უმთავრესია, ჰაინანი უფრო შორსაა, მაგრამ როგორც საზღვაო და საპარო ბაზა მეტად დაუახლოედა ინგლისის „აღმოსავლეთის ჰიბრალტარს“, ინდოეთის ზღვის ჩამკეტველ, სინგაპურს, საცა ინგლისმა ჩაყარა მილიარდები, რომ პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრედ გადაეჭირა. დღეს კი სინგაპურის მნიშვნელობა შეიძლება განახევრდეს, თუ იაპონიამ ჰაინანი გაამაგრა და ამით ინგლისის მფლობელობას ინდოეთში, მის პრესტიუს აღმოსავლეთში და ავსტრალიის დომინიონსაც დაემუქრა. ჰაინანი ისეთი უჯრედია მსოფლიო პოლიტიკის ჭადრაკზედ, იაპონიის მუშტი აღმოსავლეთში ისეთი წონა მომატებული, ევროპაში დაჭიმულობის გამო, რომ, შეიძლება, მეტის დათმობა დასჭირდება ინგლისს. /ყოველ შემთხვევაში, ასეთ მარცხს ევროპიელები და ამერიკელები მარტო პროტესტებით შეხვდნენ და... დაკმაყოფილდნენ ტოკიოს პასუხით, რომ — „ომის საჭიოებისათვის დავიჭირეთ ჰაინანი და, ომის შემდეგ... წავალთო“.

გუშინდელთან შედარებით, დღეს შეიძლება მდგომარეობა ასე შეფასდეს: „დემოკრატიამ“ პაიკი მინორქა ჯერ ვერ მოიგო და „არა დემოკრატიამ“-კი პაიკი — ჰაინანი თავისი ლაზიერით შესცვალა და მოწინააღმდეგეთა დედოფლალს დაემუქრა.

რაე

## ნიღაბ ჩამოხსნილი

ამ უურნალის ფურცლებზე ჩვენ არა ერთხელ გვიმხელია ბ. ნოე უორდანიასაგან გამომუღავნებული დაუცხრომელი სურვილი ქართულ კავკასიურ პოლიტიკის მეთაურობის შენარჩუნებისა.

ფაქტიურად ეს, მისთვის მუდამ საოცნებო, მეთაურობა ბ. უორდანიამ დაპარაგა 1921 წლის მარტის თვეში, როდესაც, ქვეყნის დაღუპვის შემდეგ, უცხო გემში ჩაბრძანდა და პარიზს მიაშურა; ხოლო ფი-

ქცია ამ მეთაურობისა კარგა ხანს შერჩა. თუ რა საშინაო ონებით შესძლო ამ ფიქციის შექმნა, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციამ დიდი ხანია იცის და ჩვენც არა ერთხელ მოგვიხსენებია.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია არც ისე დიდად მაღლიერი იქნება იმ გარეშე ფაქტორისაც, რომელმაც ხელი შეუწყო უორდანია-სათვის ამ ფიქტიურ მეთაურობის შექმნას. მით უფრო, რომ უკრაი-ნულ საკითხის აქტუალურად გახდომისას, აშკარა შეიქმნა, რომ ამ გარეშე ფაქტორს მხოლოდ ფიქტიური მეთაურები და ფრონტები სჭი-რებია.

ალბად ბ. უორდანია ამ ფიქციით და თავისი ბედით კმაყოფილი იქნებოდა, რომ საერთაშორისო კონიუნქტურა არ შეცვლილიყო და მოსალოდნელ დიდ ამბების წინაშე არ დავმდგარიყავით.

აქ კი ბ. უორდანიას გამოცოცხლება დაეტყო და ფიქციიდან რეა-ლობაზე გადასვლის სურვილი დაებადა. და ორ გარდუვალ დაბრკო-ლებას კი შეეჩება, — საგარეო და საშინაო ხასიათისას.

ბ. უორდანიას ოფიციოზი „ბრძოლის ხმა“, ბ. არიძის კალმით, გასულ ნოემბრის ნომერში გვამცნობს თუ რა „მთავარ ამოცანებს“ უნდა მიაღწიოს მომავალმა, უორდანიას გარშემო შეკრებილმა გაერ-თიანებულმა ფრონტმა: „კერძოდ ქართული და კავკასიური ემიგრა-ციის გარდაუვალი მოვალეობაა გამონახოს პოლიტიკურ და მართველ წრეებთან მიმავალი გზები“, და იქვე დასძენს: „ქართველ ემიგრაციას კერძოდ კიდევ აქვს ერთი დიდი საზრუნავი“.

რა არის ეს მეორე დიდი საზრუნავი საგანი და ამოცანა? ეს გახ-ლავთ ბრძოლა ჩვენს დაჯგუფებასთან. მენშევიკ უურნალისტისათვის ჩვეულ ლათაიებს ჩვენს მიმართ, ბ. არიძე ასე ამთავრებს: „ამიტომაც ქართველი ემიგრაციის მოვალეობაა სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ჩვე-ნი ქვეყნის ცრუ პატრიოტების წინააღმდეგ“. ამნაირად, ბ. უორდანიას ოფიციოზი თვით გვამცნობს, თუ რა წინააღმდეგობათ ეჩეხება მისი სურვილი ქართულ კავკასიურ პოლიტიკის მეთაურობის შენარჩუნე-ბისათვის.

თვრამეტი წლის ემიგრაციაში ყოფნის თავზედ, საქართველოს „მთავრობის თავმჯდომარე“ საჯაროდ აცხადებს, რომ მის საზრუნავ საგანს დღეს, მართველ წრეებთან მიმავალ გზების გამონახვა შეად-გენს. სასაცილოა, მისთვის კი სატირალი ასეთი აღსარება.

ჩვენ კარგად ვიცოდით და არა ერთხელ დაგვიწერია, რომ ბ. უო-რდანია ყოველივე ნდობა დაკარგული კაცია და მისთვის ევროპის მარ-თველ წრეებთან მიმავალი გზები დაკეტილია.

ბ. უორდანიას ვერ მოუსვენია იმის შიშით, რომ ვინმე სხვამ არ გამონახოს ეს „მართველ წრეებთან მიმავალი გზები“. სწორედ ამი-ტომაც იჭვიანობს და ემიგრაციას ამოცანად ჩვენთან სასტიკ ბრძოლას, უსახავს.

რამდენად მართებულია ბ. უორდანიას ასეთნაირი ეჭვი ამას არ შევეხებით, მხოლოდ სინამდვილეში კი მას ქართულ - კავკასიური პო-

ლიტიკის პატრონობის კვლავ მოსაპოებლად მის ოფიციოზის მიერ. დასახულ ამოცანების დაძლევა დასჭირდება. ბ. უორდანია კარგად გრძნობს რომ ამ ამოცანების დაძლევა მის ძალებს აღემატება. ამიტომაც არის, რომ ბ. უორდანია უკვე წარსულ გაზაფხულზე ფერის-ცვალებას შეუდგა. ეს ფერისცვალება დაიწყო მისი თეატრალური გასვლით სოც. დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროდან, რომელსაც მოჰყვა მისი ოფიციოზების „ბრძოლის ხმისა“ და „დამოუკ. საქარ.“ ტონის შეცვლა და ყირაზედ დაყენება წინანდელი პოლიტიკური ხაზისა. ჩვენ იმ თავითვე ვამხილეთ მიზნები ბ. უორდანიას თვალთმაქცური მოქმედებისა და თურმე შემცდარი აზრიც გამოვსთქვით, რომ ბ. უორდანია ვერავითარი ოინებით ვერ შესძლებდა ქართულ ეროვნულ ბანაკში ახალ მსხვერპლის შოვნას და მათ მოტყუებას.

ჩვენ შემცდარ პროგნოზს შემარბილებელი მხარეც ახლავს, რადგან ბ. უორდანია კი ვარავის ატყუებს, არამედ გამოჩენდენ ისეთები, რომელნიც განგებ იტყუებენ თავს. ვინ არიან ეს პირები, რომელნიც დღეს ბ. უორდანიასთან გარბიან ქუდმოგლეჯილნი?

აქ არის აღამიანი, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოდან, თურმე შეცდომით — უორდანიას პრინციპიალურ ოპოზიციონერად ითვლებოდა. აქ გახლავან მონარქისტ - ფაშისტებიც, რომელთათვის საქართველოს სამეფოს აღდგენა, ალბად, უორდანიას ტახტზე აყვანით ამოიწურება. აქ გახლავთ წმინდა წყლის ფაშისტიც, რომელიც უკანასკნელ ნომერში თავის გაზეთისა მთელ გვერდებს უორდანიას და მენშევიკების გინებას ანდომებს და ბოლოს, დასკვნაში, უორდანიას ხელმძღვანელობას ლებულობს.

შეიძლება მართლაც ქართული ნაციონალიზმის სწორი გაგება აიძულებდეს ამ პირთ დღეს ნ. უორდანიას ფრონტში შესვლას, როგორც ამაში გულუბრყვილოებს თითონ აჯერებენ?

ჩვენ კი ვფიქრობთ, პირიქით. უორდანიას რეაბილიტაციისა და რესტავრაციის სურვილი მის ფრონტში მისვლით, რანაირი ფორმაც არ მიიღოს ამ ახალმა ფრონტმა, დანაშაულია ქართული ნაციონალიზმისა და ქართველი ხალხის წინაშე: ორში ერთი, ან ქართველი ხალხი ძაბუნი ყოფილა და მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება, რადგან ვერ ისარგებლა განუმეორებელ ისტორიულ მომენტით 1918—1921 წლებისა, ან მისი მაშინდელი მეთაურობა ბ. უორდანიას სახით, უბადრუკი გამოდგა და ბრალიც ქართულ სახელმწიფოს დალუბვაში ამ მეთაურობას ედება.

ჩვენა გვწამს, რომ ქართველობა აქ არაფერ შუაშია. მსხვერპლი, ქართველ ხალხის თავზედ დატეხილ სირცხვილის და უბედურობისა — უორდანიას და მის წრეს უნდა გავაღებინოთ, მათი ქართულ პოლიტიკურ ასპარეზიდან სამუდამოდ განდევნით.

ვინც წინააღმდეგ იქცევა და უორდანიას რეაბილიტაციას ამზადებს, მას ქართული ნაციონალიზმის სწორი გაგება არა აქვს. მაგრამ რა შუაშია აქ ქართული ნაციონალიზმი, როდესაც ამ ახალ ფრონტისტებს იგივე ამოცანები ესახებათ და იგივე ეჭვები აწუნებთ, რაც თვით

ბ-ნ უორდანიას. თავის უძლურებას მიხვედრილნი, ეს პირნი დღეს ნ. უორდანიასთან ახალ კომბინაციის გამონახვით ლამობენ თავიანთ პირად ამბიციების დაკმაყოფილებას. ამ პირთ არამც თუ ქართული ეროვნული შეგნება არ აღმოაჩნდათ, უბრალო ანგარიშიც კი ვერ შესძლებიათ. რაში უნდა გამოადგეს მათ ამბიციებს, თავისი საკუთარი თავის გაკოტრებულად გამომცხადებელი ბ. უორდანია?

ბ. უორდანია, რომელიც ამ რამდენიმე პირთა ფრონტში მისაყვანად იძულებულია დღევანდელი მისი დასაყრდნობი პოლიტიკური აპარატები დაშალოს და მით თავის საბოლოო გაკოტრებას ხელი მოაწეროს.

ბ. უორდანიას კი შეიძლება ამ ახალმა კომბინაციებმა ერთი სამსახური მაინც გაუწიოს, მის მასაზრდოებელ საგარეო ფაქტორთან შესუსტებული პოზიციები ცოტათი შეალამაზოს. ფიქცია კიდევ ვინმეს ესაჭიროება, მაგრამ არარაობა არც უორდანიას და არც ე.წ. „პრომეთეულ მოძრაობის“ პატრონს აინტერესებს. და ეს, მიუხედავად იმ ხალოპური მორჩილებისა, როგორითაც, ჩვენდა სამარცხევინოდ, უორდანიას ოფიციაზები უკრაინის ეროვნულ მისწრაფებათ ებრძვიან, ბატონის გულისმოსაგებად (იხ. „დამ. საქ.“ და „ბრძოლის ხმა“ იანვრის ნომრები). სავალალო კი არის, ქართველ ნაციონალისტებად წოდებულნი პირნი ქართული საქმის სამსახურის მაგივრად ნ. უორდანიას ფიქციის განმტკიცებაზედ ზრუნავდნენ. რამ დაუბნია ამ ხალხს გონება, რა აღენინებს ქვეყნის წინაშე გაუსწორებელ დანაშაულს უორდანიას რეაბილიტაციაზე ზრუნვით?

პასუხი ერთია: გაბოროტებამ და შურმა ჩვენი დაჯგუფების წინააღმდეგ.

ან შეიძლება მათი გაბოროტება ჩვენს წინააღმდეგ სამართლიანი იყოს. შეიძლება უშვერი ბრალდება დაბალ ზრახვებით უორდანიას წრის მიერ ჩვენს მიმართ გადმოსროლილი მათ მართლაც სიმართლეთ მიაჩნიათ. შეიძლება ჩვენ მართლაც „ქართული ტერიტორიებით მოვაჭრენი“ ვართ და ჩვენ მიერ სადღეისო ქართულ-კავკასიურ პრაკტიკულ პოლიტიკისათვის არსებულ სტატუს-ქვოს ცნობა სამხრეთის საზღვრებზე დიდი დანაშაული იყოს.

ნილაბი, რომელსაც ახალი ფრონტისტები ამოეფარნენ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად და უორდანიასთან მისარბენად, ხომ მხოლოდ — ამ უორდანიას მიერვე გაბოძებული ტერიტორიების საკითხია.

რომ ნ. უორდანიასათვის ეს საკითხი მხოლოდ ნილაბი იყო ჩვენ წინააღმდეგ სალაშქროდ, ჩვენ არა ერთხელ მისი და მისივე თანამოპაქტეების ნაწერებით გვიმხელია. ხოლო დღეს ეს ნილაბი ამ „შეურიგებელ ნაციონალისტებს“ და „ირედენტისტებსაც“ აეხადათ.

ჩვენ ხელთ არის პროექტი შეთანხმებისა, უორდანიასა და ახალ ფრონტისტებს შორის, ოფიციალურად დაგზავნილი უორდანიას მიერვე საზღვარგარეთელ ორგანიზაციებისათვის. ამ დოკუმენტში აი რას ვკითხულობთ სიტყვა სიტყვით საზღვრების შესახებ: „ახალ გაერთიანებულ ქართულ ფრონტის დროშაზედ უნდა ეწეროს საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დღეს არსებულ საზ-ლვრების ხელშეუხებლობა“.

სადა სჩანს აქ მოთხოვნა „წარტაცებულ და წანაგლეჯ მამა-პა-პათა სამკვიდრებელისა“?

ან რას ნიშნავს ეს საქართველოს დღეს არსებულ საზღვრების ხელშეუხებლობა, თუ არა სტატუს-ქვოს დაცვას სამხრეთის საზღვრებზე და სხვაგანაც და რისთვისაც ვითომ ბ. უორდანია და მისი ახალი ფრონტისტები ჩვენ ქვა და გუნდას გვაყრიან?

ჩვეულებრივი ჟორდანიასებური ყალთაბანდობით ჩრის ნახმარი მაგარი სიტყვა ხელშეუხებლობა, უორდანიას მიერ ბრიყვად მიჩნეულ მასისთვის. ვისაც დაწერილის გაგების უნარი აქვს, მათ ბ. უორდანია და მისი ახალი ფრონტისტები ვერ მოატყუებენ.


პირიქით, ყველა აშკარად და ნათლად დაინახავს თუ რა მდაპა-ლი და ულირსი ზრახვები ამოქმედებს ამ ახალ ფრონტისტებს და ბ. უორდანიას ჩვენს წინააღმდეგ.

ამ დოკუმენტმა, რომლის სათაურიც კი ბ. უორდანიასათვის და-მახასიათებელია: არა ეროვნული, სახელმწიფოებრივი აუცილებლობა არამედ „მომენტის აუცილებლობა“, საბოლოოდ ნიღაბი ახადა უო-რდანიას და მის წრეს ერთის მხრივ და მის ახალ ფრონტისტებს მეო-რეს მხრით. ქართული საქმე ამ ნიღაბ ჩამოხდილ ადამიანთა შეულლე-ბით არაფერს წააგებს. პირიქით.

მათზე ზედგამოჭრილია ქართული ანდაზა: მკვდარი მკვდარს აეკიდა — საფლავამდის მიმიტანეო.

ჩვენ ვშიშობთ ოლონდ ეს შეულლება, ვაი თუ არ მოხდეს, ან მეტად დაიგვიანოს, რადგან ამ ოფიციალურ შეულლებას აგერ ოთხ თვეზე მეტია ხელს უშლის ძველ და ახალ ფრონტისტების ძნელად დასაკმაყოფილებელი პირადი თუ ჯგუფური ამბიციები.

მიხ. კედია



## თებერვლის დღეები სოხეთში

ჩვენი ახალი თანამოძმის პირველ ნომერში, სომხურ „კოვეაზ“-ში, დაბეჭდილია წერილი ჰ. არისტაკესიანისა, რომლის საინტერესო შინა-არსი მჭიდროდაა გადაბმული იმავე ხანის ჩვენს სამგლოვიარო 1921 წლის თებერვლის დღეებთან:

### 18 თებერვალი

თერამეტი წლის წინად სომხის ხალხი აუჯანყდა თავის ორპირო-ვან — რუს-ბოლშევიკურ მტარვალს. ამ აჯანყების იდეა და თვით გა-ნხორციელებაც თვით ხალხის წიაღიდან გამოდიოდა. ცოტაოდენ რყე-

ვის შემდეგ გადასწყვიტა დაშნაკუტიუნის პარტიამ მიემხროს მოძრაობას და უხელმძღვანელოს კიდევ.

აჯანყებულთ ერთბაშად ჩაიგდეს ხელში ერევანი და თანდათან თითქმის მთელი სომხეთი. მაგრამ მთლად განდევნა მტრისა სომხეთის, საზღვრებიდან ვერ მოხერხდა. საქართველოს დაცემის შემდეგ წითელ მა ჯარმა მიიღო ახალი დახმარება და გადმოვიდა გადამწყვეტი შეტევაზედ. 40 დღის რაინდული ბრძოლების შემდეგ, ჩვენი სატახტო ქალაქი კვლავ გადავიდა ბოლშევიკების ხელში აპრილის დასაწყისში; ნაწილმა აჯანყებული ლაშქრისა, რომლის კადრს შეადგენდა ინტელიგენცია, დაიხია ზანგეზურში და იქიდან, რამდენიმე თვის შემდეგ, გადავიდა სპარსეთს.

ორი ათას ხუთასი წლის მანძილზედ, სომხის ერს ბევრჯერ აულია იარაღი ხელში, — დროებით გაბატონებულ უცხოელთა წინააღმდეგ. თავისუფლებისათვის აჯანყებათა ნუსხა — გრძელი იქნებოდა, იგი გადაიჭირა ჩვენს გადმოცემებად, ერის მისწრაფების გამომხატველად — თავისუფლებისაკენ.

1921 წლის 18 თებერვლის აჯანყება კიდევ ერთხელ ამტკიცებს ასეთი სულისკვეთების არსებობას, თუმცა მეტად გრძელვადიანი ყმობისა გამო, ამის ნებისყოფა გამოხატა უფრო ინსტინქტის ფორმით.

მართლაც, ამ ბნელი უამის განმავლობაში, როცა სომხური რჩეული ნაწილი იულიტებოდა (ნაწილი, რომელიც გაიხიზნა, აგრეთვე დაიკარგა სომხეთისათვის) — ხალხი დარჩა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცის დასაწყისში, ნამდვილ ხელმძღვანელობას მოკლებული, ვისაც შესძლებოდა იმედის აღდვრა ნათელ მომავალისა და წმინდა ეროვნულ სულიერ-ზნეობრივ და ფიზიკურ ძალებზე დაყრნობით — წაეყვანა ერი თავისუფლებისაკენ.

ხალხური ინსტინქტიური მისწრაფება გამოიხატა უფრო მკაფიოდ, ვიღრე ნებისყოფა დამოუკიდებელ არსებობისადმი, გამოხატული მათგან, ვინც მაინც სთვლიდა თავის თავს „ერის ხელმძღვანელად“. ხალხი უჩვენებდა გზას ამ „ხელმძღვანელობას“.

კერძოდ, 18 თებერვალს, მან, ხალხმა მისცა ხელმძღვანელთ მეტად ღირსეული გაკვეთილი.

თუ არ ვიანგარიშებთ 1903 წელს, როცა ჩვენმა ხალხმა სასტიკი წინააღმდეგობით დაიბრუნა რუსის მთავრობისაგან წართმეული საეკლესიო ქონება, — 1921 წლის 18 თებერვალს სომხის ხალხმა პირველად აიღო იარაღი რუსის „განმათავისუფლებლების“ წინააღმდეგ. იგი მიხვდა რუსეთის მატყუარა პოლიტიკას და უარი სთქვა ილუზიაზედ — თეთრი თუ წითელი რუსეთის იმპერიალისტების ხელით განთავისუფლებაზედ.

18 თებერვლის აჯანყებამ დაახლოვა სომხეთი თავის კავკასიელ მეზობლებთან, ვისიც ლოზუნგია ბრძოლა თავისუფლებისათვის, დამკურობთან, ე.ი. ვერაგ რუსეთთან.

აქამდე ჩვენ მეზობლებს ჰქონდათ საბუთი ეეჭვათ ჩვენი ერთგულება რუსეთისადმი, 18 თებერვლის შემდეგ ეს შეუძლებელია. პირი-

ქით, ჩვენ ვიყავით პირველნი, ვინც ააფრიალა დროშა აჯანყებისა წითელ მტარვალთა წინააღმდეგ.

საქართველოს აჯანყებამ 1924 წელს დაამტკიცა ერთიანობა პოლიტიკური ხაზისა კავკასიელ ერებისა. ორივე აჯანყება დამარცხდა, და ეს იყო შედეგი კავკასიელ ერთა ხელმძღვანელების უთაურობისა. მართლაც, ამ ხელმძღვანელთ, ხედავდნენ რა წითელი რუსეთის მოძრაობას სამხრეთისაკენ, — არაფერი გააკეთეს, რომ საერთო ძალებით შებრძოლებოდნენ. — გაყოფილთ, ერთმანეთთან მტრულად განწყობილთ, სათითაოდ დაპკარვეს თავისუფლება და მერეც, ისევ ცალ-ცალკე შეეცადნენ დაკარგულის დაბრუნებას.

მიუხედევად ამ ცდების მარცხისა, ისინი ვერ ჩაითვლებიან უშედეგოდ: კავკასიის ერებმა დაამტკიცეს ნებისყოფა თავისუფლების მოპოებისა და ეს გვაძლევს უფლებას თვით ამ ერთა სახელით — ვიბრძოლოთ მათ განსათავისუფლებლად.

18 თებერვლის შემდეგ, მომავალ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც გაერთიანებული ძალებით ვაწარმოებთ, კავკასიელ ერებს შეუძლიანთ თამამად დაემყარონ რაინდობასა და თავისუფლების სიყვარულს — სომხებისასაც.



## ზერილი ჩეხო - სლოვაკიიდგან

დღვანდელ ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკურ ვითარებას შეიძლება ეწოდოს გარდატეხის ხანა, რომელიც იწყება მიუნხენის გადაწყვეტილებით. მიუნხენით დაედო საზღვარი ე.წ. პირველ რესპუბლიკას და დაიწყო ხანა ანალ რესპუბლიკისა, რასაც აქაური პრესა უწოდებს მეორე რესპუბლიკას. ჯერ ჯერობით პოლიტიკურ - სოციალური თუ ზნეობრივი სახე ამ მეორე რესპუბლიკისა, ბუნდოვანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კარპ. უკრაინას და განსაკუთრებით სლოვაკიას. ამ შინაურ განსხვავებას ჩეხიასა და სლოვაკიას შორის აღმშენებლობითი მუშაობის ტემპში, მათ შინაარსთა ერთგვარ დისონანსს საფუძვლად უდევს ბევრი სხვა და სხვა მიზეზი. მთავარი ის არის, რომ ისტორიული წარსული ამ ორ მოძმე ერთა შორის, მათი ეროვნულ-კულტურული სახის ჩამოყალიბება მოხდა სულ სხვა და სხვა პირობებში და გავლენით. სლოვაკია ამ მხრივ არ წარმოადგენს არავითარ გამონაკლისს სხვა მეზობელ ევროპის ერებში. მისი წარსული არ არის მდიდარი სულიერი რევოლუციებით და ძებნით ახალ-ახალი ჭეშმარიტებისა; ამიტომ სლოვაკი არის უფრო კონსერვატიული, მას ახასიათებს პირდაპირობა, ურყეობა, ღრმა რელიგიური რწმენა და გულწრფელობა. სულ სხვა არის და ეროვნული თვალსაზრისით პირდაპირ საშიში ჩეხიის მდგომარეობა. ამ ერის ბედი, მისი წარსული და აწმუნ,

პირდაპირ საგულისხმო გაქვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის — ქართველთათვის. ამ ერს აქვს ორი ტრადიცია, ერთი მეორის უარმყოფელი და შეურიგებელი. პირველი ტრადიცია არის წმ. ვაკლავისა (დიდი თავადი, კათოლიკეთა მოწამე, ჩეხის პატრიარქ ალიარებული), მეორე — იან ჰუსისა. ეს მღვდელი, თავიდან ეკლესიური ოპოზიციონერი, მის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ საკითხებში შესაძლებელია კიდავაც მართალი, მაგრამ პაპის წინააღმდეგ ბრძოლაში გარევოლუციონერებული და ბოლოს წამებული ცოცხლად დაწვით, რამაც ხალხის თვალში აამაღლა და გადააჭცია ეროვნულ გმირად. რა თქმა უნდა იან ჰუსს არავითარი საკუთარი ეკლესია არ შეუქმნია, მაგრამ მის მიმდევარ და თაყვანისმცემელ ინტელიგენციამ დააარსა, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებშივე ე.წ. ჩეხოსლოვაკიის (ჰუსის) ეკლესია, შემდეგის ლოზუნგით: „შორს რომიდან!“ (ე.ი. ატიკანიდან). ამ ეკლესიას უფრო მეტი პოლიტიკური საძირკველი აქვს ვინემ ღვთაებრივი. (პატრიარქი ამ ეკლესიისა არის დიდი „პროგრესისტი“, თავსუფალი მოაზროვნე, მასონი, მარქსისტების მეგობარი და რა თქმა უნდა წითელი ისპანიის პატრიოტი). თვით მასარიკი და ბენეში დიდ მფარველობას უწევდნენ ამ ეკლესიას და თავის პოლიტიკას ასაღებდნენ წმინდა ჩეხურ ეროვნულ პოლიტიკად, უწოდებდნენ რა მას „ტაბორის პროგრამას“ (ქალაქი ტაბორი ცენტრია ძველი ჰუსიტთა მოძრაობისა).


ერი სულიერად მოემწყვდა ამ ორ ერთი მორის მოწინააღმდეგე მცნებათა შორის, მისი ეროვნული სულისკვეთება ორად გაიპო, იგი ვერც ერთ მცნებას ჩამოშორდა და ვერც მეორეს დაეყრდნო. აქედან დაიწყო ეროვნული მეობის გაორება, რასაც თანა სდევს მერყეობა ყოველ ეროვნულ საქმეში (უნებურად მახსენდება ანალოგია მარქსიზმის როლთან ჩვენში). ნათქვამია: სად გაგონილა, ერთი კაცი ორი გული, ერთი ერი — ორი რჯულიო. ერის ორი ტრადიცია ნიშნავს უტრადიციონიბას. ამ საშიშ მდგომარეობას ჯანსაღი ერი ვერ იტანს, მასში ეს იწვევს სათანადო რეაქციას და შიგ ერის სხეულში იწვევს სამკვდრო სასიკოცხლო ბრძოლას. აე მოხდა ჩეხიაშიც, მთელი ნახევარი საუკუნე (15—16) ამ ერმა გაატარა სამოქალაქო ომში, რის შედეგად მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. მან დაჰკარგა დამოუკიდებლობა და თანაც საშინელი მსხვერპლი გაიღო: მტერმა მას ფიზიკურად გაუნადგურა იმ არისტოკრატიის ნაწილი, რომელიც გადაურჩა სამოქალაქო ომს. ეს ერის რჩული ნაწილი, შემქმნელი (იმ უამაღ), მობაირახტრე და დამცველი ეროვნულ კულტურა - ტრადიციისა.

ეს მოხდა სამასი წლის წინ და მას მოჰყვა ისეთი ეროვნული განადგურება და დაქვეითება, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეულ წლების წინად თვით კ. მარქსი მისთვის ჩვეულებრივი ცინიზმით აცხადებდა ამ ხალხს ეროვნულად მკვდრად, არქეოლოგთა შესასწავლ იბიექტად. როგორც ვხედავთ, მარქსი შავი ყორანისებური ჩხავილი არც აქ გაუმართლდა. ერი ალორძინდა, იგი ფეხზე წამოდგა. ამ ალორძი-

ნებაში მთავარი როლი ითამაშა იმავ სმლვდელოებამ. მაგრამ, სამწუ-  
 ხაროდ, ალორძინებულ ერს თან დაჰყვა იგივე ორი ტრადიცია: წმ. ვა-  
 ცლავისა და ჰუსისა. ეს უკანასკნელი მეორე ტრადიცია მოახვია თავზე  
 ლიბერალურმა ინტელიგენციამ. ორი ტრადიციის შეგუება მოითხოვს  
 კომპრომისს, კომპრომისი კი არის იგივე ვაჭრობა და ანგარიში. ამი-  
 ტომ არ არის გასაკვირი თუ ჩეხური დამახასიათებელი თვისებანი,  
 მოგვეჩენოს უცნაურად და გაუგებრად. მაგალითად აქ სრულიად ბუ-  
 ნებრივია თუ მთავარი მოწმე ფაშისტთა წინააღმდეგ წარმოებულ  
 პროცესში განაცხადებს, რომ მისი ჩვენება მიმართულია ფაშისტების  
 წინააღმდეგ, ვინაიდგან ფაშისტები ადგილს დაპირდნენ, ამით სოც.  
 დემ. პარტიიდგან გადაიბირეს, ადგილი კი არ მისცეს ან ვერ მისცეს;  
 ამიტომ ვანებებ მათ თავს და ვიძლევი ჩვენებას მათ წინააღმდეგო.  
 სოც. დემოკრატი ვიყავი სანამ ადგილი მქონდა, ეს ადგილი დავკა-  
 რე, პარტიამ ახალ ადგილზე ვერ მომაწყო, მაშ რა სარგებლობა მაქვს  
 მარქსისტობაშიო!? — ამას საჯაროდ განაცხადებს პარტიის წევრი  
 სასამართლოში, სრული შეგნებით თავისი ლოლიკის სიმტკიცესა და  
 სიმართლეში. სასამართლოც ამ განცხადებას იღებს, როგორც სრუ-  
 ლიად ბუნებრივს, პრესა მას აღნიშნავს უკომენტარიოდ და არავის  
 ფიქრადაც არ მოუვა, რომ ამაში არის, სულ ცოტა, რაღაც უგემურო-  
 ბა.

რა თქმა უნდა გამონაკლისიც არის, მაგრამ საერთოდ შეიძლება  
 ითქვას, რომ აქაურ სულისკვეთების ლეიტმოტივი არის — სარგებ-  
 ლობა. პირველი საკითხი ყოველ საქმის დასაწყისში არის: მე რა მე-  
 ქნება აქედანაო. აქ რომ პატარა ვაჭარს ან თუნდაც ლარიბ გლეხს სთ-  
 ხოვო გაილოს შემოწირულება, მაგალითად, სოც. დემ. მუშათა პარ-  
 ტიის სასარგებლოდ, თვალებს გადმოკარკლავს, გაკვირვებით ენა ჩაუ-  
 ვარდება, ბოლოს ბრაზიან ხარხარს მოჰყვება და გიუად ჩაგთვლის. ეს  
 სულ ცოტა; შეიძლება პოლიციასაც დაუძახოს. — მე კერძო მესაკუ-  
 თრე გიუი ხომ არა ვარ ჩემს მტერს დახმარება გაუწიოვო — გეტყვის.  
 (ეს უკიდურესობა გაცილებით უფრო დადებითია, შედარებით ჩვენს  
 უკიდურესობასთან: ორმოცდაათ პროცენტით სწორედ წვრილ ბურ-  
 უჟაზიამ და გაფხეკილმა აზნაურობამ ათბო თავის მკერდზე, ჰკვება  
 და ასაზრდოვა ჩვენში ის გველი, რომელსაც ეწოდება მარქსიზმი).

აგზნება, ენტუზიაზმი თუ ტემპერამენტი აქ მხოლოდ მაშინ იჩენს  
 თავს, თუ მას რაიმე რეალური სარგებელი მოაქვს ერთეულთათვის.  
 გამართეთ თუნდაც რჩეულ კომუნისტებისაგან შემდგარი მიტინგი,  
 ამოათრიეთ თვით ლენინი საფლავიდგან, ალაპარაკეთ იგი. თუ შუა-  
 დლის 12 საათამდე თავისი „რეჩი“ ვერ მოსჭრა და ვერ გაათავა, არც  
 ერთი კომუნისტი არ დარჩება მოედანზე, უველა გაიქცევა: სახლში  
 „სუფი“ მიცდის, გამიცივდებაო. ყოფილა არა ერთი შემთხვევა, კო-  
 მუნისტს ლატარიაში ფული მოუგია და იმ წამსვე გამოსულა პარტი-  
 იდან: მე, დღეს უკვე ფულიან კაცს, რა მაქვს საერთო ამ ნაყარ ხალ-  
 ხთანაო. ამიტომ აქ არავითარ გაუგებრობას არ იწვევს მაგალითად  
 ისეთი ფაქტები, რომ ოცნების წინად მშიერ-მწყურვალი სოც. დემ.



პარტიის ლიდერები დღეს უკვე დიდი მემამულენი და მძიმე მილიონერები არიან. ქუჩის მარქსისტობას თავი დაახტიეს და მიუნხენამდის სალონური მარქსისტები იყვნენ, დღეს კი მარქსიზმსაც აბრუნდი უყვეს და მაღალ ბურჟუაზიულ წრეებში მოექცნენ.

მიუნხენი მათთვის გაბედნიერება იყო. აქაურ მოქალაქეს, რომ ასეთ მაგალითზე მიუთითო, იტყვის: ყოჩალ, ჭირიანი კაცია, მან თავს უშველაო.

ცხადია, ასეთ სუსხ რეალურად მოაზროვნე ერისათვის ლიბერალიზმი ზედგამოჭრილია, ის ბუნებრივი „დემოკრატია“ და ასე ადვილად ვერ შეითვისებს იმ ახალ იდეალისტურ ფილოსოფიას, რომელიც აღმოცენდა მარქსიზმისა და კაპიტალიზმის კრიზისისაგან, მატერიალისტურ მსოფლმხედველობის იდეურ გაკოტრებაზე და რომელიც ცნობილია საერთოდ ფაშიზმად. ამიტომ არის, რომ ფაშისტურმა მოძრაობამ აქ ვერ მოიკიდა ფეხი, ვერ შეჰქმნა ისეთი ძლიერი ჯგუფი თუ პარტია, რომ ვითარების ლოლიკურ დასასკვნელად აელო ხელში ძალა-უფლება. მაშინ როდესაც სლოვაკიამ და კარპ. უკრაინამ მოიპოვეს რა დიდი გერმანიის წყალობით თავისუფლება (ავტონომია) ერთის დაკვრით გააუქმეს ათასგვარი მყვირალა და მჩხავანა პარტიები, აგრეთვე მასონებიც, დააწესეს ეროვნული ერთობა (არა გაერთიანება) და დისკიპლინა ლრმა სოციალური შინაარსით, ჩეხიამ, ამ ორ ტრადიციის ჰაგემონ ერმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ორ-პარტიული სისტემა შემოილო. პირველს, დღეს მმართველ პარტიას, მეთაურობს ყოფილი ავრარული პარტია, რომლის ირგვლივ შეერთდენ ყველა ე.წ. „მეშჩანური“ პარტიები და აგრეთვე ფაშისტებიც. ამ პარტიას ეწოდა ეროვნული ერთობის პარტია. მეორე პარტია წარმოიშვა ყოფილ სოც. დმოკრატიისაგან. ამ პარტიამ მიიღო ახალი, ბრძოს თვალში სარეკლამო სახელწოდება — ეროვნულ შრომის პარტია. ცხადია, ამ პარტიაში შეაფარა თავი ყოფილმა კომუნისტურმა პარტიამაც, რომელიც მთავრობის რადგინილებით იქნა დაშლილი. სოც. დემ. პარტია გამოვიდა მეორე ინტერნაციონალიდან, შესცვალა წითელი დროშა ეროვნულით, უარპყო და დაპგმო მარქსიზმი, დადგა ოფიციალურად ეროვნულ ნიაღავზე და პირველ მმართველ პარტიას ალუთქვა ლოიალობა. სინამდვილეში კი განაგრძობს ძველებურად მარქსისტულ შხამის თესვას პოლიტიკურ ჯურლმულებში.

ამ ორ პარტიულ სისტემას მორცხვაო ეწოდა ავტორიტარული თემოკრატია. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ. რომ პირველი, ბენეშის რესპუბლიკა უწოდებდა თავის თავს კალაპოტში ჩასმულ დემოკრატიას (უსმერნენა დემოკრატიე). მოსალოდნელია, რომ ეს განსხვავება წესწყობილებისა ჩეხიასა და მეორე მხრივ კარპ. უკრაინასა და სლოვაკიას შორის გამოიწვევს არა ერთ გაუგებრობასა და კონფლიქტს, მათ ურთიერთობაში. დღეგანდელი საერთაშორისო ვითარების მიხედვით უნდა ვითვიქროთ, რომ ჩეხია იძულებული იქნება შეუფარდოს თავისი პოლიტიკურ-სოციალური ჯეზი ორ დანარჩენ რესპუბლიკაში შემავალ წევრებს, იძულებული იქნება ახდილად დაადგეს ფაშის-

ტურ გზატკეცილს. ამის სიმპტომებსაც ვხედავთ. ეს წერილი დასრულებული არა მქონდა, რომ მართველ პარტიის ახალგაზრდათა ორგანო „ვეჩერის“ 6 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა მოწინავე წერილი შემდეგის სათაურით: „ეროვნულად მაგრამ სოციალურადაც“, სადაც მოუწოდებს ვისაც ჯერ არს შინაური პოლიტიკის იდეურ ნიადაგზე დაყენებას, მოითხოვს ფართე სოციალურ პოლიტიკას და პირდაპირ სვამს კითხვას: რაში მდგომარეობს აღოლფ ჰიტლერის და ბენიტო მუსოლინის ძლიერება, რაშია სიდიადე და სიდიდე მათი წესწყობილებისა, როგორ მოხდა, რომ მუსოლინმა და ჰიტლერმა შემოიკრიბეს და დარაზმეს თავის ირგვლივ მთელი თავიანთი ერიო? და იძლევა პასუხს პძრველ ყოვლისა ზეკლასიური სოციალური პოლიტიკითო. ამასთანავე გაზეთი ურჩევს მთავრობას თავი დაანებოს ეროვნულ ცრუმორცხვობას, ვითომდა ჰიტლერ-მუსოლინის მიბაძვით შეილახება ჩეხეური ეროვნული სახე. მოჰყავს მაგალითი !ახლო წარსულიდან: აკი ოცი წლის განმავლობაში მაიმუნივით ვბაძავდით უცხო ერების დამოკრატიობას, მივსდევდით მათ ყოველ მათს აბნეულ გზებში და არავის ფიქრად არ მოსვლია თითქოს ეს დამამცირებელი ყოფილიყოს ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისათვისო. წერილი სხვათა შორის დასძენს: გათავდა ის დრო, როდესაც სოციალური დაწესებულებანი სოციალისტის საკვებ და სასუქ ბაგად იყო გადაჭცეულიო.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეროვნულ ერთობის ახალგაზრდათა პარტიაში დიდ აქტიობას იჩენენ იდეური ფაშისტები და გარემოებას, რომ თვით მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ბერანი ამავე დროს ახალგაზრდათა პარტიის თავმჯდომარეა, ცხადია, ზემოხსენებული წერილების რეალური წონა.

რაც შეეხება კერძოდ კარპ. უკრაინას, იქ არის ტოტალიტარული მთავრობა მღვდელ ვოლოშინისა. შიუნხენამდის ამ მხარეს ეწოდებოდა კარპატის რუსეთი, მცხოვრებლებს კი რუსინები; ეს მათი ძველი ისტორიული სახელია, ვინაიდან ისინი ეკუთვნიან ნამდვილ ძველ რუსის ერს ე.ი. კიევის რუსეთისას, რასაც დღეს ეწოდება უკრაინა. ვინაიდან მოსკოველებმა უკრაინის ერაპურობის შემდეგ თავის თავს ველიკოროსები უწოდეს, ნამდვილ რუსებს კი მალოროსები და სუკელას ერთად — რუსები, ამით აირია დავთარი. აქაურ კარპ. რუსებმა შეინარჩუნეს რა თავისი ძველი ისტორიული სახელწოდება რუსისა, ამავე დროს არაფერი საერთო არა აქვთ იმ რუსებთან, რომელთაც ეწოდებათ მოსკალები. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას. რომ ძველი ავსტრო-უნგრეთის ჰაბსბურგთა დინასტიის მთავრობა აქ ეწეოდა უკრაინიზაციას წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით დიდი რუსეთის წინააღმდეგ და ამ მპყრობელთა პოლიტიკამ სრულიად წინააღმდეგი რეაქცია გამოიწვია აქაურ მკირერიცხოვან ინტელიგენციაში, აღვილ ასახსნელია, რატომ არის, რომ ნაწილი აქაური ინტელიგენციისა არის რუსოფილური, მოსკოვის მიმართულებისა. ამით სარგებლობდა ჩვენი მარქსისტებივით სასიქადულო ბენეში, ეწეოდა აქ ჩეხურ დიდმპყრობელობით პოლიტიკას, აქეზებდა ხან ერთ, ხან მეორე მიმა-

რთულებას, რაც აფერხებდა ამ ხალხის ეროვნულად ჩამოყალიბებას. მიუნხენმა ბენეშთან ერთად ამ უკუღმართობასაც მოუღო ბოლო. დღეს აქ უკვე ბუნებრივი უკრაინული მიმართულებაა გაბატონებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მიუნხენის დადებითი მხარეთაგანი, რომ სლოვაკია და კარპ. უკრაინა ჩეხიასთან მჭიდროდ და გულწრფელად დაკავშირა, ვინაიდან ეს სამი ერი უფლებრივ გაათანასწორა. ასე რომ დღევანდელი ჩეხოსლოვაკია იძლევა იმედს, რომ იქნება უფრო მტკიცე და ძლიერი, ვინემ პირველი რესპუბლიკა.

12 თებერვალს კარპ. უკრაინაში დანიშნულია არჩევნები. სეიმს შეადგენს 32 დეპუტატი. მოსახლეობა მთლი კარპატული უკრაინისა ცოტათი აღემატება 600 ათასს. ეს თავისუფალი ერთეული დიდი უკრაინისა, როგორც მოგეხსენებათ ძილს უფრთხობს საბჭოთა რუსეთს.

P.S. მიუნხენის პირველ დღეებში, როდესაც გამოირკვა რომიბერლინის სიძლიერე, აქ ერთმა სოც. დემ. პარტიის ლიდერმა მოინდომა ფერისცვალება და შეუდგა ნიადაგის მზადებას. მან შეუთვალა აქაურ ფაშისტურ პარტიის მცირე მეთაურობას, მზათა ვარ უარვყო მარქსიზმი, მივიღო ფაშიზმი, თუ მიმიღებთ თქვენს პარტიაში და სათანადო ლიდერობასაც მიბოძებთო. ამასთანავე პირობას სდებდა, რომ სულ უკანასკნელი ასი ათას მუშას გადმოვიყვანო. მიიღო შემდეგი პასუხი: ასი ათასი ცხვრის ფარა, რომელიც თქვენს სიტყვაზე დადის და არა საკუთარ ჭკუით, ჩვენ არა გვჭირია. პირადათ თქვენ შეგიძლიათ შემოიტანოთ განცხადება და მიუხედავად თქვენი იქაური ლიდერობისა, მიღებული იქნებით ორი წლის გამოსაცდელი (სადეზინფექციო) ვადით. თუ ხსენებულ ვადის განმავლობაში დამტკიცდა თქვენი გულწრფელობა, მხოლოდ შემდეგ მიღებულ იქნებით, როგორც მორიგე წევრიო. ეს ამბავი მიტომ გავიხსენე, რომ აქ ხმებია, თითქოს ნოე უორდანია აპირებდეს ასეთ რამეს იმ იმედით, რომ ქართველები მის ირგვლივ დაირაზმებიან. თუ ეს მართალია, ჩვენ აქ, ემიგრაციის ცენტრს დაშორებულთ გვებადება ერთი საკითხი: ნუ თუ ქართველი ემიგრაცია ისე გაიხრინა და დაჩაჩანაკდა, რომ უორდანიას ასეთ იმედებს ულვიძებს?

ვალერიან ჩოჩია



## ვ რ ე ს ა

1 ღვინობისთვის თარიღით გამოვიდა ახალი „პრომეთე“, რომლის მეტამორფოზა გააკვირვებდა არა მარტო ქართველ მკითხველს. გარეგნულობაც, სახელიც, შინაარსიც და მიზნებიც შეცვლილია; თუმცა იმავე „პრომეთეულ მოძრაობას“ ეკუთვნის და, ქართველების გამოკლებით, თითქმის იგივე ნაცნობი ავტორებია... ახლების დამატებითაც. ფრანგული ენა იქნება ზედმიწევნილი არ იყოს, მაგრამ წინან-

დელ „პრომეთეზე“ უკეთესია; შინაარსიც უფრო ცოცხალი და მრავალ ფეროვანი.

უფრო უცნაური ის არის, რომ არც ნეტარხსენებული ძველი „პროდეთეს“ გარდაცვალებაა სადმე აღნიშნული და არც ახალდაბადებულის მემკვიდრეობა... თითქმ არაფერი მომხდარიყოს: ახალს აწერია: ტომი I. № 1.

ბაგრამ კავკასიელ საზოგადოებამ უნდა იცოდეს თავისი ... ლიტერატურული ბედის, — თუ ითქმის ასე, — ცვლილებანიც. ჯერ ერთი, უურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ (№ 150), რომელსაც უკახასკნელ დროს დასჩემდა ნაღვლიანი კილო და აღევნებულია იმავე „პროდეთეულ მოძრაობას“, გვაძლენობს:

„გამოვიდა ორთვიური უურნალი: „ლა რევიუ დე პრომეთე“ (შინანდელ „პრომეთე“ს ნაცვლად), რომელშიაც... შასალა მრივალფეროვანია. წიგნი სუფთად და კოხტად არის გამოცემული, ხოლო უნდა აღვხიშნოთ, რომ შიგ საქართველოს შესახებ თითქმის არაფერია... სასუოველია, რომ შემდეგ წიგნებში ეს ნაკლი გამოსწორდეს“.

„დამოუკ. საქ.“ არც იმაზე ამბობს რასმე, რომ ძველი „პრომეთეს“ რედაქტორი იყო ქართველი, — ბ-ნი გ. გვაზავა — (ანუ უკეთ, ბ. ნ. უორდანიას „ცენტრი“, რომელიც არაშე თუ ცოცხალი აწრის, ცოცხალი სიტყვის გამოთქმასაც არ ანებებდა ბ. გ. გვაზავას, ისე ჰყავდათ შებოჭვილი რეზინასავით საღეჭი არტახებით) — და ახალი „პრომეთეს ძიმოხილვა“ს ხელმძღვანელია — უკრაინელი, ბ-ნი ა. შულგინი.

და ეს არ შეიძლება აიხსნას მარტო რედაქტორების შეცვლით, რადგან ახალ გამოცემას ახალი სათაურიცა აქვს, გარდა სახელისა: და კავკასია ... მოხსენებულიც არ არის.

„დამოუკ. საქართველო“მ იცის მიზეზებიც ასეთი არსებითი ცვლილებებისა და ამაზე არა მარტო სდუმს, ერთ ერთ თავის წერილს, რომელზედაც „კავკასია“ს წინა ნომერში გვქონდა ლაპარაკი, სრულებით უსაბუთოდ, ქართველი საზოგადოების თვალის ასახვევად, არქმევს: „მოულოდნელი მხრიდან“.



## წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

ამით ვაცხადებთ, რომ სრულიად ვიზიარებთ „კავკასიის“ პოლიტიკურ მიმართულებას. თქვენს წინააღმდეგ, მარქსისტებთან ეშებმატკბილებული განგაში გვარწმუნებს, რომ სწორი და სამშობლოსათვის სასარგებლო გეზი აგილიათ.

პატივისცემით: ვალერიან ჩოჩია  
შალვა ჯაფარიძე

ქ. პრაგა. 8—2—1939 წ.